# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 ივნისი 2007 №132 (3055) ფასი 50 თეთრი




## სეგრტიც და შეყილლაძეც ჰოლანდიურ კურსებზე

2



## ჩვენ მაშინ მოვიგებთ, როცა წაგება მიუღებელი იქნება

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

3



## ყველაზე მეტად ფეხბურთი მე მენატრება

მალხაზ ასათიანი: მალე დავბრუნდები!

4

# გადაწყდა: 22 აგვისტოს ლუქსემბურგში



22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები სტუმრად ლუქსემბურგთან გამართავს ამხანაგურ მატჩს — ეს ინფორმაცია გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ დაგვიდასტურა.

არადა, ფიფას ვებგვერდზე შავით თეთრზე წერია, რომ 22 აგვისტოს საქართველო — ესპანეთია, თუმც უგულავამ გვითხრა, ეს შეცდომააო.

და ვის ვეთამაშებით ამხანაგურად ნოემბერში? ამაზე კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკება. ყველაზე რეალური და, ბუნებრივია, სასურველი ვარიანტი ბრაზილიის ნაკრების თბილისში ჩამოსვლაა, თუმც წერტილდასმული ჯერ არაფერია.

ცნობისთვის: საქართველოს ნაკრებს ლუქსემბურგთან ექვსი წლის წინაც, 2001 წლის 15 ივლისს უთამაშია ამხანაგური მატჩი — მაშინ ჩვენებმა სტუმრად 3:0 მოიგეს.



AFP

# კრივოი როქი:

## ლადო ბურდული მიდის, შოთა ბაბუნაშვილი მოდის



# ქართველამდე ქართველები

## კარლ ცაისს კანდელაკიც მიადგა



# სეგრტიც და შეყილაძეც ჰოლანდიურ კურსებზე



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ხორვატი პეტარ სეგრტი და მისი თანაშემწე გელა შეყილაძე ჰოლანდიაში არიან, სადაც სამწვრთნელო კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს ესწრებიან.

გეცოდინებათ, ამავე კურსებს გადის თბილისის „ამერის" თავკაცი გიორგი ჩიხრაძეც.

პარალელურად, სეგრტი ჰოლანდიაში მიმდინარე 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპის მატჩებს ესწრება და ჩვენს მომავალ მეტოქეებზე ინფორმაციებს აგროვებს.

ილია ნანოზაშვილი



# ზესტაფონი ბაკურიანში: კესან-იონანიძის გარეშე

„ზესტაფონი" 5 ივნისიდან ბაკურიანში რომ იმყოფება შეკრებაზე, უკვე გაუწყეთ. 23 და 30 ივნისს იმერლებს ინტერტოტოს თასზე ყაზახურ „ტობოლთან" მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

„ზესტაფონმა" ბაკურიანში ეს ფეხბურთელები იახლა.

*მეკარეები: გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე;*

*მცველები: კახა ჩხეტიანი, სუპატი თოდუა, შალვა ლონლაძე, ედიკ საჯაია, როინ ონიანი, გიორგი ხიდეშელი, ედსონ სანტოსი;*

*ნახევარმცველები: ჟილვან ვიეირა, ნიკა კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ამირან სანაია, ირაკლი ძარია, ალექსი ბენაშვილი, ჟონატას ტორესი;*

*თავდამსხმელები: გოგი ფიფია, გიორგი ჭელიძე, ბექა გოცირიძე, დავით ჯანელიძე, გაგა ჩხეტიანი.*

გუნდს 18 ივნისს შეუერთდება პოლ კესანი, რომელიც გაბონის ნაკრებში აფრიკის თასის საკვალიფიკაციო მატჩებში სათამაშოდ იყო მიწვეული.

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში არ არის ჩვენი ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძე, რომელიც კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.

ნუკრი ლოლაძე

# ბაბუნაშვილი გიგიაძემ წაიყვანა

## ახალი ქართველი კრივბასში?

თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი შოთა ბაბუნაშვილი უკრაინაშია, კრივოი როგის „კრივბასთან" ერთად ვარჯიშობს და, შესაძლოა, კონტრაქტიც მალევე გააფორმოს.

ქართველი ფეხბურთელი უკრაინაში ერთი კვირის წინ გაემგზავრა. ის იქ „კრივბასისა" და, ზოგადად, უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, ვასილ გიგიაძის რეკომენდაციით აღმოჩნდა და ვნახოთ, როგორ მოაწონებს თავს მასპინძლებს.

ბაბუნაშვილი ფორმის პიკზე მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში" თამაშისას იყო, მაშინ მის ეროვნულ გუნდში მიწვევაზეც ლაპარაკობდნენ და ბოლოს თბილისის „დინამოში" აღმოჩნდა.

„დინამოში" ბაბუნაშვილს დიდხანს არ უთამაშია, რამდენიმე მატჩი მაღალ დონეზე კი ჩაატარა, მაგრამ შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო და კარგა ხნით დასვენებამ მოუწია. გამოჯანმრთელებული კი „დინამო 2"-ში მოხვდა...

მერე „დინამოში" მწვრთნელი შეიცვალა, ჩეხმა დუშან უჰრინმა მას ისევ მთავარ გუნდში უხმო, მაგრამ ბაბუნაშვილმა ძველი ფორმა ვეღარ აღადგინა.

ბოლოს შოთა ბოლნისის „სიონში" სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს და, აი, ახლა მას უკრაინაში თამაშის შანსიც მიეცა.



„კრივბასს" შოთა ბაბუნაშვილი ალბათ მეორე ქართველის, ლადო ბურდულის შემცვლელად სურს. ახალი არ არის, რომ ბურდული ამ გუნდიდან წასვლას ეშურება.

ლუკა თალაკვაძე

# მიქაძე ლოკომოტივში

საჩხერის „ჩიხურამ" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება კი შეძლო, მაგრამ ფეხბურთელებისა — ვერა. გუნდი გიორგი მიქაძემაც დატოვა, ვინც კარიერას თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელებს.



„ჩიხურა" ისევ ფინანსურ გაურკვევლობაშია და, როგორც საჩხერული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კახა გელბახიანმა გვითხრა, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ნუკრი ლოლაძე



გასული სეზონის პირველი წრე თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" ძლიერად ჩაატარა, რასაც მეორე წრეზე ვერ ვიტყვით — გუნდმა სულ ათი გოლი გაიტანა, აქედან რვა ორ მატჩში, ქულებიც უმიზეზოდ ანიავა და ვერც დაგეგმილ ევროსაგზურს შეწვდა.

ახალ სეზონს ვეტერინარები უფრო დიდი ამბიციებით ხვდებიან. გუნდი 14 ივნისს შეიკრიბება და მეორე დღეს შეუდგება ვარჯიშს.

„ვიტ ჯორჯიას" სამომავლო გეგმებზე კლუბის გენერალურ მდივან მალხაზ კაკაურიძეს ვესაუბრეთ...

# კვახაძეზე სატურნიდან არავის მოუმართავს

## გელაშვილი ისევ ბელგიაში

— 14 ივნისს კრება ჩატარდება, მეორე დღეს კი გუნდი ვარჯიშს შეუდგება. ერთი თვის განმავლობაში თბილისში მოვემზადებით, 15-29 ივლისს უკრაინაში, სადაც ოთხი-ხუთი ტესტ-მატჩის გამართვაც იგეგმება. 5 აგვისტოს კი გუნდს საქართველოს თასის მატჩი მატჩი ელის.

— მწვრთნელ-ფეხბურთელების მხრივ რაიმე ცვლილება ხომ არ არის მოსალოდნელი გუნდში?

— არანაირი. მწვრთნელად ისევ ნესტორ მუმლაძე დარჩება თავის თანაშემწეებიანად. ფეხბურთელებიც ისევ ისინი იქნებიან, რომლებმაც სეზონი ჩაამთავრეს.

— ნიკა გელაშვილი არ მიდის ბელგიაში?

— 21 ივნისს ჩავა და „ბრიუგეს" შეუერთდება, 25-ში კი გუნდს შეკრებაზე გაჰყვება და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა მომავალი ურთიერთობა.

— როგორც შევიტყვეთ, ლაპარაკია ალექსანდრე კვახაძის რამენსკოეს „სატურნში" გადასვლაზეც...

— ჯერ არაფერია ცნობილი. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებული კლუბიდან ჩვენს ოფისში რაიმე ოფიციალური ცნობა უნდა მოვიდეს, ასეთი კი არ მიგვილია...

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ჭაბუკების სუპერთასი

გუშინ „შევარდენის" სტადიონზე ჭაბუკთა შორის სუპერთასი გათამაშდა. ერთმანეთს ჭაბუკთა ლიგის გამარჯვებული თბილისის „დინამო" და სკოლებს შორის ჩემპიონი 35-ე საფეხბურთო სკოლა (1989 წელს დაბადებულები) დაუპირისპირდნენ.

ქომაგთათვის ერთობ თვალსასეირო და მეტად დაძაბული მატჩი დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — მათ მეტოქე 3:1 დაამარცხეს. მოგებულთაგან ორი გოლი გიორგი ჯოხაძემ გაიტანა, ერთიც ზვიად ჭადაშვილმა. სათქმელია, რომ გუშინდელი მატჩის დუბლის ავტორი ცნობილი დინამოელის, გოჩა ჯოხაძის ვაჟია. „დინამოს" ამ თაობის მწვრთნელი კი დავით კვლიშვილია.

დღესვე, სუპერთასს 1990 წელს დაბადებული ქუთაისელი და იმავ თბილისის „დინამოს" ჭაბუკები გაითამაშებენ. მატჩი ისევ „შევარდენზეა" და 18 საათზე დაიწყება.

ლუკა თალაკვაძე

**რუსეთი**

პრემიერლიგა. XII ტური

ზენიტი 1:1 ლოკომოტივი

**ნორვეგია**

ტიპელიგა. IX ტური

სტარტი 3:1 სანდეფიორდი

**შვედეთი**

ალსვენსკა IX ტური

ბრომაპოიკარნა 0:1 მალმიო

ჰალმსტადი 2:2 ჰამარბი

ტრელებორგი 3:2 გეფლე

სუპერეტა IX ტური

იონკოპინგი 0:2 იოსტერსი

სირიუსი 2:0 ლანდსკრონა

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა. IX ტური

ვაასა 5:0 ოულუ

**ევროპის 2007 წლის U-21 ახალგაზრდული ჩემპიონატი**

B ჯგუფი. I ტური

ჩეხეთი 0:0 ინგლისი

სერბეთი 1:0 იტალია

# ჩვენ მაშინ მოვიგებთ, როცა წაგება მიუღებელი იქნება

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ გია გეგუჩაძემ კიევში პროლიცენზია აიღო. გეგუჩაძეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აქვს — მან თბილისის „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. მას შემდეგ წლები გავიდა, გეგუჩაძე „დინამოს“ დაშორდა და მერე მწვრთნელობაც მიატოვა... იგი ახლა პირველლიგელი „გაგრას“ სპორტული დირექტორია. ჩვენ კი ბევრ საინტერესო საკითხზე ვესაუბრეთ და ინტერვიუ სანაკრებო თემით დავიწყეთ...



[illegible] ფოტო

## როგორ აძევებენ შვილები მამებს სტადიონიდან?

## გია გეგუჩაძე: ჩვენი შეცდომა ისაა, რომ არ გვითქვამს, რას ვითხოვთ ტოპმიოლერისგან

— ლიტვასთან თამაში არ მინახავს, სწორედ მაშინ ვიყავი უკრაინაში პროლიცენზიის ასაღებად. საფრანგეთთან კი ძალიან უსუსურები ვიყავით. გასაგებია, რომ ფრანგები ჩვენზე ერთი თავით მაღლა დგანან, გვაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ ასეთი ჩამჯდარი ფეხბურთი მაინც არ მომწონს. დაცვიდან თამაში ალბათ მწვრთნელის დავალება იყო, მაგრამ განა შეიძლება, გუნდმა კონტრშეტევაზე საერთოდ არ იფიქროს?!

— თქვენი აზრით, ნაკრების მთავარი პრობლემა რა არის?

— კლაუს ტოპმიოლერი უდავოდ კარგი სპეციალისტია, მაგრამ ჩვენ კონკრეტულად არ განვსაზღვრეთ, რას ვითხოვთ მისგან. ტოპმიოლერის წინაშე ამოცანა არ დამდგარა, რაც უნდა ყოფილიყო — ჯგუფიდან გასვლა, ან მომავალი ციკლისთვის მზადება. ახლა ჩანს, რომ ვერც ერთი ხდება და ვერც მეორე. ამიტომ თავიდანვე დიდი შეცდომაა დაშვებული. ვფიქრობ, ნაკრებში სერიოზული ცვლილებებია მოსახდენი — თუ გვინდა, რომ იმავე პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდეთ, ახალგაზრდები უნდა მოვამზადოთ. შარშან იყო ლაპარაკი მეორე ნაკრების შექმნაზე, რაც ძალიან საჭიროა. სწორედ ეს დაგვეხმარება ახალგაზრდების აღმოჩენასა და დაწინაურებაში.

— ტოპმიოლერი ფეხბურთელთა დაბალ კვალიფიკაციაზე ჩივის — მას აღარ აკმაყოფილებს რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატების დონე. ამაზე რას იტყვით?

— ჩემი აზრით, რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატების დონე საკმაოდ ამაღლდა. ცსკა, „ლოკომოტივი“, კიევის „დინამო“ და „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგაში სისტემატურად ხვდებიან და თავსაც არ ირცხვენენ.

— საინტერესოა თქვენი აზრი ახალგაზრდულ ნაკრებზეც...

— ახალგაზრდული ნაკრები ყველაზე პერსპექტიული ნაკრებია სხვა ასაკობრივ ნაკრებებს შორის და დასანანია, ესპანეთთან რომ დავმარცხდით. ჩვენ მაშინ მოვიგებთ, როცა მარცხი მიუღებელი იქნება. წაგებული მატჩის შემდეგ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კარგად ვითამაშეთ.

— ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზეც ვთქვათ...

— ჩემპიონატის დონე მანამ არ აიწევს, ვიდრე მთავრობა ფეხბურთს სათანადოდ არ დაუდგება მხარში. არ გვაქვს ნორმალური სტადიონები, ფორმა, ბურთი და ათასი სხვა წვრილმანი. არის რამდენიმე კლუბი, რომელთაც ეს პრობლემა არ აწუხებთ, მაგრამ ერთეულები ამინდს ვერ შექმნიან. და კიდევ, კლუბებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ფეხბურთის ფედერაციამაც უნდა მოინდომოს — მათ მეტად უნდა ჩართონ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებაში. რაც შეეხება პროფესიული ფეხბურთის ლიგას, ვფიქრობ, ბევრი კარგი შემოიტანა ქართულ ფეხბურთში.

— რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ევროთასებზე ქართული კლუბები, თავს ვერაფრით გვამახსოვრებენ. ჩემპიონატის დონე კი არც მაშინ იყო მაინცდამაინც მაღალი, როცა თქვენმა „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია. ეს როგორ მოახერხეთ?

— რამდენიმე ფაქტორი იყო: საქმის ორგანიზება, გუნდის ერთსულოვნება, საწვრთნელი პროცესის სწორად წარმართვა და, რა თქმა უნდა, იღბალი.

— და დღევანდელი უმაღლესლიგელებიდან ორგანიზებულობით რომელს გამოარჩევდით?

— „ამერში“ ნორმალური ინფრასტრუქტურა და საქმისადმი პროფესიული მიდგომაა. შარშან ბერლინის „ჰერტასთან“ თამაშშიც გამოჩნდა, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან.

— ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა კი ბავშვთა ფეხბურთია...

— გერმანულ მაგალითზე ვიტყვი: სხვადასხვა მხარეში აგზავნიან რამდენიმე კვალიფიციურ მწვრთნელს და ისინი იქ ატარებენ ჩემპიონატებს, არჩევენ პერსპექტიულ ბავშვებს, იქვე აყალიბებენ საფეხბურთო სკოლებს და იწყება სერიოზული წვრთნა. ასე უნდა გაკეთდეს ჩვენთანაც — იმერეთში, გურიაში, აჭარაში და ყველგან. საქართველოში დღეს აღარ არსებობს ქუჩის ფეხბურთი და ბავშვებსაც ყველაფერი სასწავლი აქვთ. ძალიან კარგია, მთავრობა ხელოვნურსაფარიან მოედნებს რომ აკეთებს, მაგრამ უმჯობესია, რამდენიმე პატარის გაკეთებას, ერთი დიდი, ხელოვნურსაფარიანი გავაკეთოთ — ეს უფრო წაადგება ქართულ ფეხბურთს. ისიც სათქმელია, რომ საქართველოში ყველას მწვრთნელობა უნდა, რაც დაუშვებელია. ბავშვი მხოლოდ პროფესიონალის ხელში უნდა მოხვდეს. თან საქართველოში მშობლებიც უხეშად ერევიან ბავშვთა ფეხბურთში... შოტლანდიაში იცით, რა ხდება? როცა თამაშზე ბავშვი გადის, წვრთნელები მათ წითელ ბარათებს ურიგებენ. თუ მშობელი წივილ-კივილს დაუწყებს, ბავშვი მასთან მირბენს და ამოუღებს წითელ ბარათს, რომელზეც აწერია — მაცადე ფეხბურთის თამაში!

— უკვე ორი წელია, თბილისის „დინამოდან“ წამოხვედით. მწვრთნელობა არავის შემოუთავაზებია?

— „დინამოდან“ რომ წამოვედი, მალევე ბოლნისის „სიონიდან“ დამიკავშირდნენ, მაგრამ მაშინ დასვენება მჭირდებოდა და ვიუარე. მას შემდეგ კი არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა.

— ახლა პროლიცენზიაც აიღეთ. მაინც როდის აპირებთ სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელებას?

— ჯერჯერობით „გაგრას“ სპორტულ დირექტორად ვრჩები და შემდეგ ვნახოთ...

— და ბოლოს: რა რჩევას მისცემთ დამწყებ მწვრთნელებს?

— არასოდეს ითაკილონ სწავლა. ამ პროფესიას ბევრი შრომა სჭირდება. მათ უნდა იცოდნენ, რომ ძალიან ძნელ საქმეს შეეჭიდნენ. მწვრთნელი პედაგოგია და მას ფეხბურთელთან ფსიქოლოგიური მიდგომაც უნდა შეეძლოს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ცხადაძე ჯერაც სიონშია...

**ბოლნისის** რაიონის გამგებელი გია არევაძე რომ გადადგა და მის ნაცვლად გია დაუშვილი დაინიშნა, აქამდეც ვწერდით.

ჩვენც გუშინ ბოლნისის „სიონის“ ახალ პრეზიდენტს დავუკავშირდით...

— „სიონს“ გამგეობა აფინანსებს, რომელსაც აქამდე ჰყავდა პარტნიორი კომპანია „მადნეულის“ სახით — გვითხრა გია დაუშვილმა — ჩვენ ამ დღეებში შევხვდებით „მადნეულის“ წარმომადგენლებს და მომავალ თანამშრომლობაზე დავილაპარაკებთ. რაიონის ინტერესებში შედის, რომ ძლიერი საფეხბურთო გუნდი ჰყავდეს და ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ საამისოდ. ცვლილებები აუცილებლად იქნება, თუმც ამას კლუბის დირექტორატი გადაწყვეტს. ამ დროისთვის გარკვეული მონახაზი არსებობს, ყველაფერი კი კვირის ბოლომდე გადაწყდება“.



კახა ცხადაძე

[illegible] ფოტო

რაც შეეხება ცვლილებებს: გუნდი უკვე დატოვა არჩილ ალავიძემ, რომელმაც კონტრაქტი საქართველოს თასი მფლობელ თბილისის „ამერთან“ გააფორმა. „ამერშივე“ ვარჯიშობს ბაჩანა ცხადაძეც.

კონტრაქტები დაუმთავრდათ ვიტალი დარასელიას, სერგო ორბელაძეს და ლევან სილაგაძეს. დარასელიას ამბავი გაურკვეველია, სილაგაძე და ორბელაძე საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპში“ ჩაირიცხნენ.

ჯერჯერობით გუნდშია მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე. მან „სიონი“ აპრილში დატოვა, თუმც კონტრაქტი სეზონის ბოლომდე ჰქონდა და რამდენიმე დღეში ბოლნისში დაბრუნდა. ახლა, როცა ჩემპიონატი დასრულებულია, ცხადაძეს და „სიონს“ აღარაფერი აკავშირებთ, თუმც კლუბის ვიცე-პრეზიდენტ დავით სილაგაძის თქმით, გუნდის მწვრთნელი ჯერაც ცხადაძეა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო ბრაზილიასთან და ინგლისთან

**13 და 15 ოქტომბერს** საქართველოს ფუტსალის ნაკრებს ძალიან საინტერესო მატჩები ელის — ბრაზილიაში იქაურ ნაკრებს გაეჯიბრება ამხანაგურად. 16-27 ოქტომბერს კი ჩვენები ბრაზილიაშივე საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ.

საქართველოს ფუტსალის და პლაჟის ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივნის, ბექა კვიციანის ცნობით, ბრაზილიურ მხარესთან ყველაფერი შეთანხმებულია — საქართველოს დელეგაციის მასპინძლობის ხარჯებს მთლიანად ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია გაიღებს.

უახლოეს დღეებში საქართველოს ფუტსალის ნაკრები ურეკში გაივლის შეკრებას.

შეგახსენებთ, რომ ფუტსალის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — პეტრე თაბუკაშვილი.

ეს, რაც შეეხებოდა ოქტომბერს, 27 და 28 ნოემბერს კი ჩვენები თბილისში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ ინგლისის ნაკრებთან. ეს საკითხიც გადაწყვეტილია, ინგლისურმა მხარემ ოფიციალურად დაადასტურა, რომ თბილისში ჩამოვა.

ცნობისთვის, შარშან შემოდგომაზე საქართველოს ფუტსალის ნაკრები თბილისში საფრანგეთს ორჯერ ეთამაშა — ჯერ 4:0 მოუგო, მერე კი 1:1-ზე გაეყარა.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყველაზე მეტად ფეხბურთი მე მენატრება

## მალხაზ ასათიანი: მალე დავბრუნდები!

— როდის გიხილავთ მინდორზე?

— რამდენიმე კვირა კიდევ მჭირდება, რათა სრული ძალით ვითამაშო. გუნდთან ერთად დიდი ხანია, ვვარჯიშობ, მაგრამ ოპტიმალურ ფორმამდე კიდევ მიკლია.

— სრული დატვირთვით ვარჯიშობ?

— მთლიანობაში არა. აჩქარებებს ვაკეთებ, კარშიც მთელი ძალით ვურტყამ... ერთია, საჰაერო ბრძოლებს ვერიდები, მინდვრიდან მკვეთრად ახტომას, შესაძლოა, გართულებები მოჰყვეს — დატვირთვას ნელ-ნელა ვუმატებ.

— ამბობენ, ასეთი ტრავმის შემდეგ ფეხბურთელს ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნება და ორთაბრძოლებში შესვლას ერიდება...

— არაფრის მეშინია. უბრალოდ, მინდა, მოედანს ისეთი მალხაზ ასათიანი დაუბრუნდეს, როგორიც ტრავმამდე იყო. გავა დრო და არავითარი პრობლემა არ შემექმნება. ამაში დარწმუნებული ვარ.

— ტრავმირებული მუხლი თავს ისევ გახსენებს?

— ხანდახან დისკომფორტს ვგრძნობ. ტკივილს არა, უფრო სისუსტეს, მაგრამ მუხლი უკვე მომირჩა. ახლა მთავარი ფიზიკური კონდიციების აღდგენაა.

— საერთოდ, ჯვარედინი მყესების ტრავმის შემდეგ სათამაშოდ ექვსი-რვა თვის შემდეგ ბრუნდებიან...

— 16 ივნისს ზუსტად რვა თვე გავა, რაც ოპერაცია გავიკეთე. მანამდე მოედანზე გამოსვლა ახალი ტრავმის ალბათობას გაზრდიდა.

— უქმობისას თავისუფალ დროს როგორ ატარებდი?

**მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველ ლეგიონერ მალხაზ ასათიანის დაბრუნებას სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" გუშინდელ მატჩში ველოდით, თუმც ასე არ მოხდა — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გარისკვას ერიდება და ეს ალბათ მართალიცაა...**



— ოპერაციის შემდეგ ყავარჯნები რამდენიმე კვირაში გადავაგდე და ტრენაჟორებით დავიწყე ვარჯიში, სხვადასხვა პროცედურებსაც ვიტარებდი, ამიტომ თავისუფალი დრო ცოტა მქონდა. ხანდახან სასეირნოდ გავდიოდი. ეს იყო და ეს.

— ეს რვა თვე რთული იყო?

— უნდა გაითავისო, რომ გამოჯანმრთელების პროცესის დაჩქარება შეუძლებელია. რაც უნდა მექნა, მოედანს ამაზე ადრე მაინც ვერ დავუბრუნდებოდი. ერთადერთი, რაც დამრჩენოდა, მოთმინება იყო.

— არ გიფიქრია, რომ ძველებურ ფორმას ვერ დავუბრუნდებიო?

— რას ამბობ?! მე ხომ 34 წლის არ ვარ?! ასეთი რამ თავშიც არ მომსვლია.

— ადრე ასეთი ხანგრძლივი პაუზა არასოდეს გქონია...

— არასოდეს. მხოლოდ შარშანდელი სეზონის წინ ვიმკურნალე ორი თვე.

— გამოჯანმრთელების პროცესი ერთ მწვრთნელთან დაიწყე, ახლა სხვა თავკაცი გყავს. ანატოლი ბიშოვეცს ხომ არ დავიწყებიხარ?

— რა თქმა უნდა, არა. ის ბევრს მესაუბრება თავდაჯერებაზე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებიც მირეკავენ.

— შენს არყოფნაში „ლოკომოტივის" დაცვის ცენტრში თავს კომფორტულად გრძნობს 19 წლის სერგეი ეფიმოვი. მასზე რას იტყოდი?

— კარგად გამოიყურება და მწვრთნელის ნდობას ამართლებს. მე არავის გაგდებას არ ვაპირებ, თუმც არც სკამზე ჯდომა მინდა. მთავარია, ბოლომდე აღვიდგინო ფორმა, დანარჩენი კი მწვრთნელზეა.

— ცსკა-ს მეკარე იგორ აკინფეევმა თქვა, რომ რუსეთში ძალიან ნელა თამაშობენ, ეთანხმები მას?

— ნაწილობრივ. რუსეთის ჩემპიონატში არის მატჩები, სადაც სისწრაფე და აზროვნება დაბალია, მაგრამ იმ გუნდების თამაშები, რომლებიც მედლებისთვის იბრძვიან, სასიამოვნო სანახავია. ისე, თითქმის ყველა ჩემპიონატში ასეა.

— რუსეთის თასის ფინალი როგორი იყო?

— ძალიან კარგი. „ლოკომ" ხარისხიანი ფეხბურთი აჩვენა და დამსახურებულად მოიგო. გამაოცა ტრიბუნებზე შექმნილმა ატმოსფერომაც.

— ფინალის შემდეგ „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს ოქროსფერი მაისურები გადასცეს. შენც შეგხვდათ?

— არა, თუმც ვეცდები, როგორმე სამახსოვროდ ვიშოვო.

— მომავალი მატჩები ვლადივოსტოკში და ტომსკში გიწევთ. რომელიმე ამ მატჩში გიხილავთ?

— ყველაზე მეტად ფეხბურთის თამაში ახლა მე მენატრება, მაგრამ მოედანზე მაშინ გავალ, როდესაც ასი პროცენტით ვიქნები დარწმუნებული. ვფიქრობ, ეს ივნისის ბოლოს მოხდება.



# ქართველამდე ქართველები

## კარლ ცაისში კანდელაკიც გადადის

იენის „კარლ ცაისი", რომელიც უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ინკოგნიტო ქართველმა იყიდოს, მალე ალბათ კიდევ ერთი ჩვენიანი ფეხბურთელით შეივსება. ოდესის „ჩერნომორეცის" ნახევარმცველ ილია კანდელაკს ამ კლუბთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებული აქვს და გუნდს, სავარაუდოდ, მოსამზადებელი პერიოდის დაწყებისთანავე შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში „კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგიდან რეგიონალლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩა და ამ საქმეში გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას წვლილიც იყო. ისინი გუნდს რუსეთის ჩემპიონატიდან ზამთარში შეუერთდნენ და მეორე წრე იენელებთან გაატარეს. აშვეთიამ რამდენიმე გოლით, ხოლო ლომაიამ დამაჯერებელი თამაშით გერმანელთა მოწონება დაიმსახურეს. თუმცა დღესდღეობით მათი ამ კლუბში დარჩენის საკითხი მაინც გაურკვეველია. ამბობენ, „კარლ ცაისი", შესაძლოა, ორივემ დატოვოს. სამაგიეროდ კი, იენელებთან კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოსაა ილია კანდელაკი, ვინც „ჩერნომორეცის" მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა სხვა ქართველ შეგირდებთან ერთად ასევე ზამთარში აითვალწუნა. ალტმანმა, ჯერ იყო და, გიორგი შაშიაშვილის სამსახურზე თქვა უარი, კლუბმა ის თბილისის „დინამოში" გაანათხოვრა, ხოლო შემდეგ კახა მჟავანაძესაც არ ალირსა თამაში და ისიც მახაჩყალის „ანჟიში" დაბრუნდა. მართალია, კანდელაკი „ჩერნომორეციდან" არსად წასულა და წასვლა მისთვის აქამდე არც არავის დაუძალებია, მაგრამ ჩვენიანს ძირითადი შემადგენლობა დაავიწყდა და შეცვლებზეც იშვიათად თამაშობდა.

მოკლედ, უკრაინის ჩემპიონატი რომ დამთავრდება, ოდესაში ქართველიც აღარ დარჩება. შაშიაშვილის მომავალი კლუბი ჯერ კიდევ გაურკვეველია. მჟავანაძე ისევ „ანჟიშია", აგერ „კარლ ცაისში" კანდელაკის მისვლით კი მეორე ბუნდესლიგაში ქართველების რაოდენობა იზრდება.

რუსეთისა და უკრაინისა არ იყოს, ჩანს, საქართველოდან მეორე ბუნდესლიგისკენ ახალი სატრანსფერო გზა გაიხსნა და მომავალში გერმანულ ქვედალიგაში, შესაძლოა, კიდევ ვნახოთ ქართველი ფეხბურთელები — ოლიმპელები, გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძეც ხომ ახლოს არიან იენურ კლუბში გადასვლასთან.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართველების ზარიული ამბები

## ბურდული ლუგანსკში მიდის, მახვილაძე ლუგანსკიდან მოდის



**უცნაურია**, საქართველოს ნაკრების წევრს კრივოი როგის „კრივბასში" რომ არ ათამაშებენ, მაგრამ ლადო ბურდულის შემთხვევა სხვანაირი ჩანს — როგორც ფეხბურთელმა გვითხრა, „კრივბასის" მწვრთნელი ოლეგ ტარანი თავის მოყვანილ მოთამაშეებს ქაჩავს, მე კი ამ გუნდში დიდხანს გამჩერებელი აღარ ვარო.

ჩვენ კი შევიტყვეთ, რომ თითქმის გადაწყვეტილია, ბურდულის ლუგანსკის „ზარიაში" გადასვლა. ამ გუნდს შარშანაც უნდოდა ლადოს შეძენა, თუმც მაშინ მხარეები კონტრაქტის პირობებზე ვერ მორიგდნენ.

გეცოდინებათ, ამ დღეებში „ზარიაში" გასინჯვაზე იყო რუსთავის „ოლიმპის" კაპიტანი მიხეილ მახვილაძე, თუმც იგი ისევ საქართველოში ბრუნდება და, სავარაუდოდ, ან ისევ „ოლიმპში", ანაც „ზესტაფონში" გააგრძელებს კარიერას.

ლუგანსკურ გუნდში ახლა ერთი ქართველია — გიორგი ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივიდანაა" სეზონის ბოლომდე განათხოვრებული.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაფხული კიდევ მოვა

## არსენ მატროსოვი ტიერი ანრის და სესკ ფაბრეგასს ერთი წლით გადაეფარა

ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ლონდონური კლუბიდან არსად წავა... ერთი წლის მანძილზე მაინც.

ამით ფრანგმა სპეციალისტმა, სავარაუდოდ, „ემირატ სტედიუმიდან“ მოთამაშეების მასობრივი გაქცევა შეაჩერა, თორემ, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, საქმე ცუდად იყო. მეორეხარისხოვანი ფეხბურთელები კი არა, „მეთოფეთა“ ბანაკიდან წასვლაზე ბოლო ხანს, თურმე, თვით ტიერი ანრიმ და სესკ ფაბრეგასმაც კი დაიწყეს ფიქრი.

„მე კონტრაქტის თანახმად, „არსენალში“ კიდევ ერთი წელიწადი უნდა დავყო და ჩემს საკონტრაქტო ვალდებულებას პირნათლად შევასრულებ“ — განაცხადა ვენგერმა.

არადა, შეგახსენებთ, რომ ლონდონური კლუბის მეპატრონეებმა ამასწინათ ქომაგთა თვალში არცთუ მომგებიანი ნაბიჯი გადადგეს — ნაცადი და ერთგული ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი გაუშვეს თანამდებობიდან.

„კონტრაქტი ცხოვრებაში არ დამირღვევია და ამის გაკეთებას არც ახლა ვაპირებ, ასე რომ, კატეგორიულად შემიძლია გამოგიცხადოთ: მომდევნო სეზონში „არსენალს“ ისევ მე გავწვრთნი — უთხრა ფრანგმა news of the world-ის კორესპონდენტს — რაც შეეხება შემდგომ ზაფხულს, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად დავჯდები და დავილაპარაკებ. რა მოხდება მომავალში, მაშინ გამოჩნდება“.

მაშ ასე, ლონდონელ „მეთოფეთა“ ქომაგები, სავარაუდოდ, ერთი წლით დაწყნარდებიან, თუმცა თავად ვენგერი ინერვიულებს — მიუხედავად წარუმატებელი სეზონისა, მომავალი ისე უნდა დაგეგმოს, რომ გუნდი კვლავ პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძოდეს.

თუმცა, ვენგერი, როგორც ჩანს, ზომიერად ნერვიულობს:

„საპანიკოდ არ გვაქვს საქმე. გასული სეზონი მეოთხე ადგილზე ჩავამთავრეთ, თანაც, ქულებით „ლივერპულის“ ტოლად გამოვედით.



გარდა ამისა, ჩვენს განკარგულებაში მეტად ახალგაზრდა და მეტად ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ „არსენალი“ ძველი სიძლიერით ათამაშდება“.

შემდეგ ვენგერმა განაცხადა, რომ თუ ნიჭიერ ახალგაზრდათა ხსენებულ ჯგუფს დამატება-შევსება დასჭირდება, „მეთოფეთა“ ყულაბაში საკმარისი თანხა მოიძებნება.

„თუმცა ახალ ფეხბურთელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიძენთ, თუ ისინი საგანგებო ნიჭით იქნებიან დაჯილდოვებულნი“ — განმარტა ვენგერმა, მაგრამ, როდესაც საფრანგეთის ნაკრების თვალსაჩინო ვარსკვლავის, ფლორენ მალუდას შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა:

„მომიტევეთ, მაგრამ კერძოდ რას ვაპირებთ, სრული საიდუმლოა. გაზეთში ამის შესახებ ლაპარაკი, უბრალოდ, გამორიცხულია“.

მალუდაზე კი ვენგერს იმიტომ ჰკითხეს, რომ თავად „ლიონის“ ფეხბურთელმა გამოთქვა „არსენალში“ გადასვლის დიდი სურვილი საჯაროდ.

მაშ ასე, ერთი მხრივ, ვენგერი ახალ და თან აუცილებლად უნიჭიერეს შენაძენებზე ლაპარაკობს, მეორე მხრივ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „არსენალს“ თავად შეიძლება გაექცეს ხალხი: ანრი და ფაბრეგასი. ერთმაც და მეორემაც ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ დევიდ დინის უხეშად გაშვების შემდეგ თავს მოუსვენრად გრძნობენ

ტიერი ანრი: „ყველამ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს კარგი დირექტორი კლუბისთვის. თუკი „არსენალიდან“ ვინმეს წასვლას არ ვისურვებდი, ეს სწორედ დევიდ დინი იყო“.

სესკ ფაბრეგასი: „თუ ვენგერი წავა, 90 პროცენტით შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მეც წავალ. ჩემთვის „არსენალი“ ვენგერის გარეშე არ არსებობს“.

სხვათა შორის, სწორედ დინმა მიიყვანა 1996 წელს არსენ ვენგერი „არსენალში“ და, როგორც დრომ გვაჩვენა, ეს ნაბიჯი საოცრად სწორი გამოდგა — ვენგერი ლონდონელებს დიდხანს შემორჩა და გვარიან წარმატებებთანაც მიიყვანა.

ვენგერისა და დინის წყვილმა აგერ უკვე 11 წელიწადია, მეტად ნაყოფიერი სამუშაო შეასრულა. სწორედ მათი თანამშრომლობის შედეგი გახლდათ „მეთოფეთა“ რაზმში ტიერი ანრის თუ პატრიკ ვიეირას ჩაწერა, მაგრამ, აი, კლუბი ამერიკელმა მილიარდერმა სტენ კროენკმა შეიძინა და დინისა და ვენგერის წყვილიც დაიშალა. ამერიკელმა სამსახურიდან დინი დაითხოვა, რის გამოც ქომაგთა შორის დაუყოვნებლივ გავრცელდა ჭორი ვენგერის შესაძლო წასვლის შესახებაც, თუმცა, როგორც ამ წერილის თავში მოგახსენეთ, ფრანგმა მწვრთნელმა ჭორები გადადგომის შესახებ, უარყო.

ამასვე გავიმეორებთ წერილის ბოლოსაც...

**ბაპუნა ძიდია**

# მეთოფეებს ფულის თოფი დაუმიზნეს

ბოლო დღეებში, ინგლისურ პრესაში ლონდონის „არსენალთან“ დაკავშირებით გავრცელებული ცნობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ერთი იპყრობს: უმდიდრესი არაბის, მოჰამედ ალ ჰაშიმის ახალი სამიზნე სწორედ ლონდონელ „მეთოფეთა“ კლუბი ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის კაცია, რომელმაც რამდენიმე თვის წინ „ლივერპულის“ ყიდვა მოიწადინა, მაგრამ ვერ შეძლო. როგორც ამბობენ, ამჯერად, მოჰამედ ალ ჰაშიმი წარმატებაში დარწმუნებულია.

ალსანიშნავია, რომ ალ ჰაშიმი დეკემბერში შეიხ მუჰამედ ალ მახტუმის 450 მილიონი გირვანქით აპირებდა მანიპულირებას. ის დუბაიში დაფუძნებული „ზაბეელ ინვესტმენტის“ აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ:

„ვიცი, რომ „არსენალის“ ახლანდელი მეპატრონეები კლუბის გაყიდვას არ ეშურებიან, მაგრამ ჩემი მხრივ, მათ დასაყოლიებლად ყველა ღონეს ვიხმარ, რადგან ეს კლუბი ფრიად სარფიან ორგანიზაციად მიმაჩნია. თავის დროზე „ლივერპულის“ შეძენა გვინდოდა, მაგრამ არ გამოგვივიდა. რა გაეწყობა, მუშაობას ახლა „არსენალის“ მიმართულებით ვაგრძელებთ“.

დამალული არ არის, რომ „ლივერპულზე“ „ლაშქრობის“ მთავარი ორგანიზატორი სწორედ ალ ჰაშიმი გახლდათ. გეგმის თანახმად, ის შეიხ ალ მახტუმის ფულით პრემიერლიგის კლუბს იყიდდა და მისი 20 პროცენტის მფლობელი გახდებოდა, დანარჩენი კი, ბუნებრივია, შეიხისა იქნებოდა.

ახლა წინ „არსენალის“ ფრონტია.

**ბაპუნა ძიდია**

შეიხ მუჰამედ ალ მახტუმი



## რუუდი მანჩესტერს ამდიდრებს

ბრიტანული „სანის“ ცნობით, თუ „რეალი“ ჩემპიონი გახდება, რუუდ ვან ნისტელროი კი — პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლე, „მანჩესტერს“ მადრიდული კლუბისგან ერთი მილიონი გირვანქა ერგება. ასეთია გარიგების პირობა, რომელიც შარშან ორ გუნდს შორის გაფორმდა, როცა 30 წლის ვან ნისტელროი „რეალში“ გადავიდა. მის სანაცვლოდ 10 მილიონ 300 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

ჰოლანდიელი ფორვარდი 25 გოლით ბომბარდირებში პირველია, ჩემპიონატის დასრულებამდე კი ერთი ტური დარჩა.

## შინავატრა სიტიში

ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტაკსინ შინავატრას ადვოკატმა „სოკერვეისთან“ საუბარში განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა „მანჩესტერ სიტი“, ფაქტობრივად, უკვე იყიდა.

„ამ მომენტისთვის ბოლო დეტალები შევათანხმეთ და ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით წესრიგში მოგვყავს — თქვა ადვოკატმა — დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს დღეებში ფორმალური საკითხებიც მოგვარდება.“

## ფულემს LG დაახატეს

საყოფაცხოვრებო ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი კომპანია LG „ფულემის“ ოფიციალური სპონსორი გახდა. მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და ლონდონური კლუბის მაისურაზე წარწერა LG ივლისიდან გაჩნდება.

„ფულემის“ პრეზიდენტმა მოჰამედ ალ ფაიედმა გარიგებას კლუბის ისტორიაში უდიდესი უწოდა, მაგრამ ფინანსური დეტალები არ გაამხილა.

## ბენიტესს ფული დაუმალეს

THE PEOPLE-ის ცნობით, „ლივერპულის“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი კლუბიდან წასვლას ლამობს.

ესპანელი მწვრთნელი უკმაყოფილოა იმით, რომ ახალმა, ამერიკელმა პატრონებმა გუნდის გასაძლიერებლად საკმარისი თანხა არ მისცეს.

## დინამოს უკრაინა

უკრაინის ჩემპიონი კიევის „დინამო“ გახდა, რომელმაც წლეულს თასიც დაისაკუთრა.

დედაქალაქელებმა გასულ უქმეებზე ლვოვის „კარპატი“ 3:1 დაამარცხეს და ერთი ტურით ადრე მეთოთხმეტედ მოიგეს ჯილდო.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე მარტივად არის ყველაფერი

## თავდამსხმელებს დედები შობენ

**აზიელ თავდამსხმელთა შორის წარმატებებთან არავის სახელი არ არის ისე გაიგივებული, როგორც ირანელი ალი დაეისა, რომელმაც ლამის 20 წელიწადი დაჰყო მოედანზე და ახლახან წავიდა. დაეი ირანის ნაკრების სიმბოლოც კი გახლდათ. 38 წლის ყოფილმა ბაიერნელმა 148 სანაკრებო შეხვედრაში 109 გოლი გაიტანა და კარიერის ბოლოს fifa.com-ს მისცა ინტერვიუ...**



— ალი, 38 წლამდე წარმატებით თამაში ყველა ფეხბურთელს როდი შეუძლია, მაგრამ თქვენ დაამტკიცეთ, რომ საქმისადმი თავდადებული, მუყაითი ადამიანი ყველაფერს მიაღწევს. მაშ, რატომ წახვედით ფეხბურთიდან?

— წასვლისთვის ყველაზე შესაფერისი მომენტი ახლა დამიდგა. კაცმა რომ თქვას, ფეხბურთისთვის თავის დანებებას ყოველთვის ჩემი ცხოვრების ყველაზე მშვენიერ დროს ვგეგმავდი. შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც მინდოდა წავსულიყავი, მაგრამ გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა ათი თვით დამაგვიანეს.

— უამრავი ტიტულის პატრონი ბრძანდებით. მაგალითად, 1999 წელს აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდით, ხოლო ირანის ნაკრები მრავალჯერ მიიყვანეთ სხვადასხვა წარმატებამდე. რას იგონებთ ყველაზე კარგად?

— დღემდე 1997 წლის 29 ნოემბერი მესიზმრება. 1998 წლის მუნდიალზე მოსახვედრად ავსტრალიელებთან ორი მატჩი უნდა ჩაგვეტარებინა. თეირანში 1:1-ის შემდეგ ისე ჩანდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ცალი ფეხით უკვე ავსტრალია გახლდათ გასული, მით უფრო, რომ მელბურნში, საპასუხო შეხვედრაში თავიდან ისევ მეტოქე დაწინაურდა 2:0. და აი, მოხდა სასწაული, მატჩის მიწურულს ჩვენ ორი გოლის გატანა და 20-წლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა მოვახერხეთ. ეს დაუჯერებელი იყო.

— ნებისმიერი ფეხბურთელის კარიერაში ყოფილა ალმავლობა და ჩავარდნა. მართალია, თქვენ უამრავი ტიტული მოიგეთ, მაგრამ ალბათ, გაქვთ რაღაც ისეთიც, რისი გახსენებაც გულს გტკენთ...

— 1994 წელს ჰიროშიმაში, აზიური თამაშების ჯგუფურ ეტაპზე დავშავდი, რის გამოც გუნდთან დაშორება და ოპერაციის გაკეთება მომიხდა. ოპერაციას ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი მოჰყვა. ის დრო ჩემთვის ძნელი გადასატანი იყო. ამ ამბიდან 7 წლის შემდეგ კი, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ბაჰრეინთან ფრეც გვაძლევდა ხელს, მაგრამ წავაგეთ. ამას არავინ ელოდა და ეს გახლდათ მეორე სიმწარე, რომლის გადაულაპეაც მომიხდა.

— თქვენი კარიერიდან ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ შედარებით გვიან დაიწყეთ თამაში. თაობის სხვა ფეხბურთელებს როგორღა დაეწიეთ?

— უპირველეს ყოვლისა ალაჰის წყალობით და შემდეგ იმიტომ, რომ მთელი კარიერის მანძილზე მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. საკუთარი ძალებისა მტკიცედ ვირწმუნე.

— ნაკრებში ასზე მეტი გოლი გაქვთ გატანილი. რა იყო თქვენი საიდუმლო?

— ბომბარდირებს დედები შობენ. ასეთად უნდა დაიბადო, სხვა არაფერი. ეს ინსტინქტია, რომელიც ვარჯიშებზე უნდა განავითარო და ამ მხრივ გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ.

— მაგრამ, თქვენ თითქმის ოცი წელიწადის განმავლობაში შეინარჩუნეთ თავი, როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო დონეზე. ეს როგორღა შეძელით?

— ფეხბურთის გამო ბევრ ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე ვთქვი უარი და ვარჯიში ჩემი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად ვაქციე. მე ფეხბურთი მიყვარს.

— თქვენ ირანის ნაკრებთან ერთად ორჯერ, 1998 და 2006 წლებში გახვედით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ იქ ჯგუფურ შეჯიბრებას ველარ გაცდით. რატომ? ირანის ნაკრებს ნიჭიერი ფეხბურთელები აკლდა თუ იღბალმა აქცია ზურგი?

— არც ერთი და არც მეორე. ჩვენ, უბრალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი დონე ესაა. 1998 წელს გერმანიისთვის ან იუგოსლავიისთვის რომ მოგვეგო, ძალიან გაგვიხარდებოდა, მაგრამ ვინაიდან ისინი ჩვენზე ძლიერები იყვნენ, გამარჯვებაც მათ დარჩათ. აი, ასე მარტივად არის ყველაფერი.

— უამრავი მეტოქიდან რომელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად? საერთოდ, მსოფლიოში საყვარელი ფეხბურთელი თუ გყავთ?

— მე ყველა მათგანს პატივს ვცემ. უამრავი ფეხბურთელისა და მწვრთნელისგან ვისწავლე, როგორ უნდა ფეხბურთის კარგად თამაში, მაგრამ თუ მაინც და მაინც ერთი კაცის გამორჩევას მთხოვთ, მაშინ ბრაზილიელ ჯოვანი ელბერს დავასახელებთ. მე და ის ერთდროულად ვთამაშობდით „ბაიერნში", ის გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი იყო და მე მისი თამაშის ცქერა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— „საიპაში" მწვრთნელად დავრჩები. მინდა, მხოლოდ ჩემს გუნდზე ვფიქრობდე, ირანის ნაკრების გაძღოლისთვის კი ჯერ მზად არ ვარ, თუმცა ეს ოდესმე იქნებ მართლაც მოხდეს...

## აგენტმა ფორლანი უარყო

**დიეგო ფორლანის** აგენტმა უარყო ცნობა ფეხბურთელის „ლივერპულში" შესაძლო გადასვლის თაობაზე.

მას შემდეგ, რაც „ლივერპულმა" სამუელ ეტოოს და კარლოს ტევესის გადაბირება ვერ შეძლო, მისი ამერიკელი ხელმძღვანელები ურუგვაელ ფორვარდს მიადგნენ, რომელსაც ადრე „მანჩესტერში" უთამაშია.

„ინგლისიდან არანაირი წინადადება არ მიგვიღია — თქვა აგენტმა — მაგრამ შესაბამის თანხას თუ ვინმე შემოგვთავაზებს, მოლაპარაკებას დავიწყებთ."

## დუიკოვიჩი ჩინურად მოაწერს

**სერბი** მწვრთნელი მირკო დუიკოვიჩი, შესაძლოა, ჩინეთის ნაკრების თავკაცად დანიშნონ.

„როგორც კი ოფიციალური წინადადება მომივა, დაუფიქრებლად მოვაწერ ხელს — თქვა სერბმა — ჩინეთის ნაკრების მწვრთნელობა დიდი პატივია."

## ბუნდესლიგამ აილტონი გაიხსენა

**„ბილდის"** ცნობით, ბრაზილიელ ფორვარდ აილტონს ბუნდესლიგაში დაბრუნებული „დუისბურგი" ეპატიჟება. ფეხბურთელი ამჟამად ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ეკუთვნის და შვეიცარიულ „გრასჰოპერშია" განათხოვრებული.

აილტონს „ვერდერში", „შალკესა" და „ჰამბურგში" უთამაშია. 2004 წელს „ვერდერის" მაისურით გერმანიის ჩემპიონი და საუკეთესო მეგოლე გახდა.

## საბროსა ჩვენთვის გვინდა

**„ბენფიკას"** ნახევარმცველ სიმაო საბროსათი „ლივერპული" და „ლიონი" დაინტერესდნენ.

„ოფიციალურად ჯერ არავის მოუმართავს, მაგრამ ვიცით ინგლისური და ფრანგული კლუბების ინტერესის შესახებ. ჩვენ არ ვაპირებთ სიმაოს გაყიდვას, რადგან იგი კლუბისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია" — თქვა „ბენფიკას" პრეზიდენტმა ლუიშ ფილიპე ვიეირამ.

ვაჟა ხუციშვილი

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## გლენ ჯონსონი

მცველი



დაიბადა 1984 წლის 23 აგვისტოს ლონდონში

სიმაღლე: 1,81 მეტრი, წონა: 74 კგ

კარიერა: 2001-03 წლები — „ვესტ ჰემი" (15 მატჩი, 0 გოლი), 2002 წელი — „მილუოლი" (8 მატჩი, 0 გოლი), 2003 წელი — „ჩელსი" (39 მატჩი, 3 გოლი), 2006-07 წლები — „პორტსმუთი" (26 მატჩი, 0 გოლი)

2003 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში (5 მატჩი, 0 გოლი)



## ASTON MARTIN DB9

გამოშვების თარიღი: 2003 წელი

სიგრძე: 4,710 მეტრი

სიგანე: 1,875 მეტრი

სიმაღლე: 1,270 მეტრი

წონა: 1 710 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 5,9

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 335 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,7 წამში

ფასი: 60 000 ევრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტრეზეგე უზოდიშოდ მიდის

**დავიდ ტრეზეგე** „იუვენტუსს“ დატოვებს — ეს უკვე 99 პროცენტით გადაწყვეტილია.

კვირას „სპეციასთან“ მატჩში მან ამ სეზონში თავისი მე-15 გოლი გაიტანა, რაც ასე აღნიშნა — ვიპლოჟისკენ გაიხედა, სადაც ტურინელთა პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი იჯდა, მას ჯერ ათი, მერე კი ხუთი თითი (ანუ 15) აჩვენა და შემდეგ ჟესტი გააკეთა, აქედან მივდივარო...

მოგვიანებით, ფრანგმა ფორვარდმა ეს კომენტარითაც დაადასტურა...

„კლუბი პატივს არ მცემს. მათ თავიანთი ქცევებით მიმახვედრეს, რომ არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ და, როგორც ჩანს, მე საჭიროდ აღარ მთვლიან. დიდიე დეშანმა რაც მთხოვა, ის გავაკეთე — 15 გოლი გავიტანე. აქ შვიდი წელი გავატარე და ამ პერიოდში ჩემი თანაგუნდელების გარდა, მსოფლიოს ყველა კუთხიდან 14 მილიონი ფანის ნდობა მოვიპოვე. სამწუხაროდ, ხელმძღვანელობას სხვანაირი ხედვა აქვს. ასე რომ, მივდივარ და „იუვეს“ მაისურით გატანილი ჩემი 140 გოლიც თან მიმაქვს. მივდივარ მშვიდად, რადგან ვიცი, რომ, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი. ახლა მოლაპარაკებებზე საუბარს აზრი არ აქვს. ცუდი კონტრაქტის შემოთავაზებას ჯობდა, თავიდანვე ეთქვათ, რომ საჭიროდ აღარ მთვლიდნენ. მინდოდა, კარიერა „იუვენტუსში“ გამეგრძელებინა, მაგრამ ვიღაცას ალბათ ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება. ძალიან ვწუხვარ ქომაგებისა და თანაგუნდელების გამო, ვისაც გული სწყდებათ. თუმცა იმედია, კლუბის ისტორიაში ჩემი ადგილი დავიმსახურე. რა იქნება მომავალში, ჯერ არ ვიცი, ვნახოთ“ — თქვა ტრეზეგემ, რომელიც „ბებერ ქალბატონში“ 2000 წელს „მონაკოდან“ გადავიდა.

გავრცელებული ცნობით, ტრეზეგეს „ინტერი“, „მარსელი“, „ლიონი“, „ვალენსია“, „ბარსელონა“ და „არსენალი“ ეპატიჟებიან. აღვნიშნოთ ისიც, რომ კობოლი ჯილიმ ცოტა ხნის წინ თქვა, ტრეზეგეს „ინტერში“ გადასვლა გამორიცხულია, ზლატან იბრაჰიმოვიჩის დარი ტრანსფერები არ შედგება, უშუალო კონკურენტებს აღარ გავაძლიერებთო.

„ბიანკონერის“ გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი: „სიმართლე გითხრათ, ტრეზეგემ გამაკვირვა. ცუდი კონტრაქტი არავისთვის შეგვითავაზებია. უბრალოდ, ჩვენ ვცდილობთ, „იუვესთვის“ მაქსიმალურად კარგი გავაკეთოთ. დავიდს დაველაპარაკებით. თუმც მოლაპარაკება ადვილია, როცა, მაგალითად, ჯანლუიჯი ბუფონის დარად, ორივე მხარე ღიაა. ხოლო როცა მხოლოდ ერთი მხარე ცდილობს, ძნელია... თანაც, ასეთი საკითხები კლუბის შიგნით უნდა მოგვარდეს და არა საჯაროდ, პრესის საშუალებით“.

„იუვენტუსი“ ახალ თავდამსხმელს კი ეძებს, მაგრამ ერთი უკვე, ფაქტობრივად, ნაყიდი ჰყავს. უდინეზელი ვინჩენცო იაკინტას ტურინში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია, ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმებამდე ფორმალური დეტალებიღა რჩება.

დიდი შანსია, ტრეზეგეს ბედი მაურო კამორანეზიმაც გაიზიაროს. „იუვეს“ ახალ კონტრაქტზე ვერც ის უთანხმდება და წასვლაზე ფიქრობს...

„ჯერ არც ერთ სხვა გუნდთან მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მაურო „იუვესგან“ იმას ვერ მიიღებს, რასაც რეალურად იმსახურებს. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება. თუმცა, თუ მას მაინც წასვლა მოუწევს, „ინტერში“, „მილანში“ ან „რომაში“ გადავა. „რომა“ მაუროს სეზონში 2 მილიონ ევროს სთავაზობს — ეს ის ხელფასია, რომელსაც იგი აქ იღებს. არადა, ორჯერ მეტს იმსახურებს...“ — განაცხადა კამორანეზის აგენტმა სერჯო ფორტუნატომ.

გეცოდინებათ, „ბიანკონერიმ“ სეზონის ბოლო მატჩი „სპეციასთან“ 2:3 წააგო. ტურინის „ოლიმპიკოზე“ სტუმრები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებს ორჯერვე წუთნახევარი დასჭირდათ გასათანაბრებლად. თუმცა ბოლო წუთზე მაინც გაუშვეს გოლი და დამარცხდნენ, რამაც ანტონიო კონტეს გაწრისხება გამოიწვია...

საქმე ისაა, რომ „იუვენტუსის“ ყოფილი კაპიტანი, ახლა „არეცოს“ მწვრთნელია. მისი კლუბი კი სერია B-დან იმიტომ გავარდა, რომ ტურინელებმა „სპეციასთან“ წააგეს. ეს რომ არ მომხდარიყო, „სპეციას“ ნაცვლად გადათამაშებაში სწორედ კონტეს შეგირდები მოხვდებოდნენ და სერია B-ში ადგილის შენარჩუნების შანსი ექნებოდათ. სხვათა შორის, „ბებერმა ქალბატონმა“ სერია A-ს საგზური ოფიციალურად სწორედ „არეცოსთან“ მოგებით გაინაღდა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს თითქოს თამაში ეზარებოდათ. ისინი უპატივცემულოდ მოიქცნენ და ბოლომდე არ იბრძოლეს. ამგვარად, გავარდნა უაღრესად მტკივნეული და დასანანია, თუმც ამან კიდევ ერთხელ დამანახა რაღაცები, რაც აქამდეც ვიცოდი. იმდენი აურზაურისა და ფეხბურთის მაქინაციებისგან გაწმენდის თაობაზე ლაპარაკის შემდეგ, ვითომ ყველა ცდილობს ძალიან სუფთად ითამაშოს. თუ ამას შეიძლება სუფთა ფეხბურთი დავარქვათ...“ — აღნიშნა კონტემ.

„როცა ვიღაც ძალიან გულდაწყვეტილია, შეიძლება, ისეთი რაღაცები თქვას, რასაც მერე ინანებს. ვფიქრობ, ვინც ჩვენი მატჩი ნახა, არანაირი ეჭვები არ ექნება. ჩვენ კი, თუ გვინდა, ფეხბურთი ბოლომდე გავწმინდოთ და სალაპარაკო აღარაფერი იყოს, სანამ რაიმე განცხადებას გავაკეთებთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ“ — განაცხადა ბლანმა.

და ბოლოს, „სპეციასთან“ მატჩის შემდეგ „იუვენტუსს“ სერია B-ს მოგებისთვის თასი გადასცეს. ცხადია, „ბიანკონერიმ“ ეს მოკრძალებულად იზეიმა. კლუბის კაპიტანი და ვეტერანი ლიდერი ალესანდრო დელ პიერო კი 20 გოლით სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

„ჩვენი ეს წარმატება ეძღვნება ყველას, ვისაც ყოველთვის სჯეროდა „იუვენტუსის“ და რთულ ვითარებაშიც ჩვენს გვერდით დარჩა. სერია A-ში დაბრუნებას ვუძღვნით ტრაგიკულად დაღუპული ჩვენი ორ ახალგაზრდა ფეხბურთელის, ალესიო ფერამოსკასა და რიკარდო ნერის ხსოვნას“ — თქვა დელ პიერომ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## სამი სამს დასდევს

**მოსკოვის** „სპარტაკი“, ცსკა და „ლოკომოტივი“ ხორვატიის ნაკრების სამ ფეხბურთელს ეცილებიან ერთმანეთს. სამივე კლუბს უნდა ზაგრების „დინამოს“ ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი, მცველი ვედრან კორლუკა და ფორვარდი ედუარდო და სილვა.

ხორვატია — რუსეთის შესარჩევი მატჩისას „სპარტაკის“ სპორტული დირექტორი სტანისლავ ჩერჩესოვი ფეხბურთელებს აკვირდებოდა. მას უფრო კორლუკა და ედუარდო აინტერესებს, რადგან „თეთრ-წითლებს“ დაცვის და შეტევის გაძლიერება სურთ. დინამოელი მცველი და ფორვარდი 8-8 მილიონ ევროდ არიან შეფასებულნი.

„ლოკომოტივმა“ ადრეც არაერთხელ სცადა, კორლუკასა და ედუარდოს შეძენა, მაგრამ მუდამ უარით ისტუმრებდნენ. ცსკა კი ზამთარში ცდილობდა, მოდრიჩის ყიდვას და არაფერი გამოუვიდა, რადგან მოდრიჩით „იუვე“ და „ბაიერნიც“ არიან დაინტერესებულნი.

## ბარძალი გაიაფდა

**„იუვენტუსი“** „პალერმოს“ მცველ ანდრეა ბარძალის ყიდულობს — წერს „გაძეტა დელო სპორტი“.

სიცილიური კლუბი თავიდან 15 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ ამ თანხის გადამხდელი რომ ვერ იპოვა, ფასი დააკლო.

„იუვე“ „პალერმოს“ 10 მილიონ 500 ათას ევროსა და მცველ ნიკოლა ლეგროტალიეს სთავაზობს, სიცილიელები კი ლეგროტალიეს ნაცვლად მატეო პაროს ითხოვენ.

## სან ლორენსოს მეათე

**არგენტინაში** კლაუსურა „სან ლორენსომ“ მოიგო, რომელმაც ბოლოსწინა ტურში „არსენალი“ 4:2 დაამარცხა და პირველი ადგილი გაინაღდა. კლუბის ისტორიაში ეს მეათე ჯილდოა. ბოლოს მათ კლაუსურა 2001 წელს მოიგეს.

ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე „სან ლორენსო“ „ბოკა ხუნიორსს“ ოთხი ქულით უსწრებს.

## კაჭკაჭი ფიულისთან ჩაფრინდა

**„ბარსელონადან“** წამსვლელი ლუდოვიკ ჟიული, შესაძლოა, „ნიუკასლში“ აღმოჩნდეს — წერს TEAMTALK-ი.

შეგახსენებთ, რომ ფრანგმა „ბარსას“ დატოვება გადაწყვიტა და ახალ კლუბს ეძებს. თუ „კაჭკაჭები“ კატალონიელებს ვერ მოურიგდებიან, სათადარიგო ვარიანტი უკვე გამზადებული აქვთ — „ბოლტონიდან“ ელ ჰაჯი დიუფის გადაბირებას ეცდებიან.

„ნიუკასლის“ ამჟამინდელი თავკაცი სემ ალარდაისი „ბოლტონის“ ყოფილი მწვრთნელია და დიუფს კარგად იცნობს.

## ვაისის დაბრუნება არტმედიაში

**რამენსკოეს** „სატურნის“ ყოფილი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი სლოვაკურს „არტმედიაში“ დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ვაისმა რამდენიმე წლის წინ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა და ევროპა გააოცა, შემდეგ კი რუსეთში წავიდა და „სატურნი“ ჩაიბარა.

ვაისი „არტმედიას“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, მისი ასისტენტი კი მიხალ ჰიპია, ვინც მას რუსეთშიც ეხმარებოდა.

## მუქთა მაჰდავიკია

**ფრანკფურტის** „აინტრახტმა“ მეჰდი მაჰდავიკია მუქთად ჩაიგდო ხელში. 29 წლის ირანელი ნახევარმცველი გასული სეზონის ბოლოს „ჰამბურგიდან“ გაუშვეს და თავისუფალი აგენტი გახდა.

მაჰდავიკიამ „აინტრახტთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს უკვე მეორე შენაძენია ფრანკფურტული კლუბისა — მათ მანამდე „გალათასარაიდან“ წასული იუნიჩი ინამოტო გადაიბირეს.

## ფერნანდესი ჩაპარომ შეცვალა

**გავარდნის** პირას მყოფი „ბეტისის“ მწვრთნელი ლუის ფერნანდესი „ოსასუნასთან“ 0:5 მარცხის შემდეგ გაათავისუფლეს. მისი კონტრაქტი ივნისის ბოლოს იწურებოდა, მაგრამ დამთავრება აღარ აცალეს.

პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ბეტისს“ სარეზერვო გუნდის მწვრთნელი ჰაკო ჩაპარო უთავკაცებს. მომავალ უქმეებზე სევილიელები „რასინგს“ ესტუმრებიან.

## ა ბოლა: ტიაგუ მილანში

**„იუვენტუსი“** და „მილანი“ ტიაგუს გადასაბირებლად იბრძოლებენ, რადგან გაირკვა, რომ პორტუგალიელ ნახევარმცველს „ლიონიდან“ წასვლა სურს.

ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ ფეხბურთელი 12 მილიონ გირვანქად შეაფასა და ტურინული კლუბისგან უკვე მიიღო ოფიციალური წინადადება.

პორტუგალიური „ა ბოლას“ ცნობით, ტიაგუ ალბათ „მილანში“ გადავა, რომელსაც შემადგენლობის გადახალისება უნდა.

## ბოჟინოვს ტონი უხარია

**ვალერი ბოჟინოვმა** დაადასტურა, რომ მომავალ სეზონში „ფიორენტინაში“ დაბრუნება სურს. ბულგარელი „იუვეში“ იყო განათხოვრებული. „დიდ კლუბში ვბრუნდები, რომელშიც ლუკა ტონი თამაშობდა და ამ გუნდის მაისურის მორგება დიდი პატივია“ — თქვა ბოჟინოვმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



რაულ ტამუდო 112 გატანილი ბურთით უკვე „ესპანიოლის" ისტორიული მთავარმეგოლეა. „თეთრ-ცისფერთა" კაპიტანმა ჯერჯერობით ბოლო ორი გოლი „კამპ ნოუზე" მოინაგრა და „ესპანიოლის" ქომაგთა გული სამუდამოდ მოიგო. მტერმა „ბარსელონამ" კი მონჟუიკელი ფორვარდის „წყალობით" ლა ლიგის ბოლოსწინა ტურში გაჩემპიონების შესანიშნავი შანსი დაკარგა, რითაც „რეალი" აღაფრთოვანა. „თუთიყუშთა" კაპიტანთან მატჩისშემდგომ ინტერვიუს „სარბიელის" გუშინდელ ნომერში გაეცნობოდით, დღეს კი „ასის" ჟურნალისტისა და რაულ ტამუდოს უფრო ვრცელ საუბარს გთავაზობთ...

# თუთიყუშის ავთვისებიანი სიმსივნე

## რაულ ტამუდო: კამპ ნოუ სიჩუმეში ჩაიძირა

— „ბარსასთან" თამაშის მეორე დღეს რა შთაბეჭდილებები გქონდათ?

— მშვიდად ვიყავი, თუმცა დაღლილობა ახლა უფრო მეტად ვიგრძენი, ვიდრე უშუალოდ მატჩის შემდეგ.

— დაძაბულობამ იმოქმედა?

— ცოტ-ცოტა ყველაფერმა იმოქმედა.

— ხალხი ქუჩაში რას გეუბნებოდათ?

— ბევრი რამ მითხრეს. ძირითადად მაქებდნენ. ცხადია, „ბარსას" ქომაგებს სიტყვა არ დაუძრავთ, ესპანიოლელთა მოლოცვებს კი ბოლო არ უჩანდა...

— მორიდებული ხასიათი გაქვთ და ალბათ გულშემატკივართა მოძალების გამო უხერხულობა იგრძენით...

— ხალხი აღტაცებული იყო. „ესპანიოლის" ფანები ყოველივე საუკეთესოს იმსახურებენ.

— „კამპ ნოუზე" თქვენს მიერ გატანილი ორი გოლის ჩათვლით!

— ჩვენი ინჩასების ზეიმი ძალიან მომეწონა. ყველას გაუხარდა, თუმცა მთავარი ისაა, რომ „ბარსას" სტადიონიდან დაუმარცხებლები წამოვედით.

— და რაულ ტამუდომაც „ესპანიოლის" აწ უკვე ექსმთავარმეგოლის, რაფა მარანიონის რეკორდი გააუმჯობესა. კლუბის მთავარმეგოლე ხართ...

— მიხარია, თუმცა მომავალშიც ბევრი გოლის გატანას ვაპირებ.

— ტამუდომ თავის კარიერაში „ესპანიოლისთვის" ფასდაუდებელი საქმეები გააკეთა. ყოველთვის საჭირო ადგილზე ჩნდებით ხოლმე...

— აბა, აქ რისთვის ვარ?! ყოველთვის ვცდილობ, კლუბს დავეხმარო და „ესპანიოლი" წინ წავწიო.

— და ეს მაშინ, როცა ზოგიერთები ამბობენ, ან უფრო სწორად, ამბობდნენ, რომ თქვენ „ესპანიოლის" ავთვისებიანი სიმსივნე ხართ...

— ხალხი იმდენ რამეს ამბობს...

— მერე გული არ გტკიოდათ ამის გაგონებისას?

— სულაც არ შევწუხებულვარ. პრესას მე არ ვკითხულობ და ინჩასთა გამონათქვამებსაც ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ. უკვე კარიერის იმ წერტილამდე მივედი, სადაც ჭორები და ათასნაირი მითქმა-მოთქმა ჩემზე ზეგავლენას ვერ ახდენს. მშვენივრად ვიცი, ცხოვრება რასაც მივუძღვენი და ეს ჩემი ყოველდღიური ყოფის შემადგენელი ნაწილია.

— შაბათის მატჩზე ვისაუბროთ. „ბარსელონა" თავიდან მიძინებული ხომ არ გეჩვენათ?

— ამას ბევრი ამბობს, თუმცა მეტოქის შესაბოჭად „ესპანიოლმაც" იზრუნა.

— შეგეძლოთ, პირველი გოლი მატჩის დასაწყისშივე გაგეტანათ...

— ჩვენი თამაშიდან გამომდინარე, ის გოლი შემთხვევითი არ იქნებოდა. იმ პოზიციაზე თავს საკმაოდ მოხერხებულად ვგრძნობდი. გუნდიც საომრად იყო განწყობილი.

— განსაკუთრებით ივან დე ლა პენია, რომელმაც საგოლე პასი მოგაწოდათ...

— შესანიშნავი პასი იყო! დე ლა პენია კი მოედანზე მართლაც საბრძოლოდ ანთებული შემოვიდა, უნდოდა, რომ კარგად ეთამაშა.

— იმ ეპიზოდში ლილიან ტურამი შეცდა...

— რა მნიშვნელობა აქვს... მთავარია, გოლი გავიტანეთ.

— და ვიქტორ ვალდესის კარის დალაშქვრა ჩვეულ სტილში აღნიშნეთ — მაისურაზე „ესპანიოლის" ემბლემას ეამბორეთ...

— „ესპანიოლის" მიმართ სიყვარულის, ერთგულებისა და სითბოს გამოხატვის ასეთი მანერა მაქვს. ამ გუნდში გავიზარდე, ფეხბურთელად და პიროვნებად აქ ვიქეცი.

— მატჩს მივყვეთ. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე ლეო მესიმ ანგარიში ხელით გაათანაბრა...

— მატჩის შემდეგ, როცა ჩანაწერი ვნახე, დავრწმუნდი, რომ არგენტინელმა გოლი წესების დარღვევით გაიტანა. მსაჯმა კი იმ მომენტში ხელით თამაში ვერ შეამჩნია და გოლიც იმიტომ ჩათვალა.

— ამას ახლა ამბობთ, მაშინ კი თქვენი რეაქცია სხვანაირი იყო — ტაიმის დასრულების შემდეგ გასახდელის გვირაბთან დადექით და მსაჯი და მესი ირონიული აპლოდისმენტებით დააჯილდოვეთ...

— ჯავრისგან გული კინაღამ გამისკდა. სხვას ჩემგან რას ელოდით?! როცა გაცოფებული ხარ, ისეთი საქციელიც შეგიძლია ჩაიდინო, რაზეც წუთით ადრე ფიქრიც არ შეგეძლო. ტაში დავუკარი, თუმცა მეტი არაფერი გამიკეთებია.

— მეორე ტაიმიც დაიწყო და...

— „ბარსელონას" ფეხბურთელებმა მძლავრად შემოგვიტიეს.

— ეს შეძლეს კიდეც. მაშინ ხომ არ გაიფიქრეთ, რომ ყველაფერი დასრულდა?

— არავითარ შემთხვევაში. ბრძოლა გავაგრძელეთ და ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, შედეგი „ესპანიოლისთვის" დადებითი ყოფილიყო.

— ეს ბრძოლა იქამდე გაგრძელდა, სანამ ვალდესს საგოლედ მეორედ არ ესტუმრეთ...

— რუფეტემ შესანიშნავად გააკეთა თავისი საქმე. ბურთი მარჯვენა ფლანგზე ჩემს წინ დაეცა და ვალდესსაც ვაჯობე.

— რა გაიფიქრეთ, როცა ბურთი „ბარსას" კარში შედიოდა?

— სიხარული ვიგრძენი და მერე გოლი ჩვენებთან ერთად ვიზეიმე.

— თუმცა ფიესტა საკმაოდ წყნარი გამოგივიდათ, სხვას, თქვენს ადგილას, შეეძლო, თავი გაეგიჟებინა...

— ალბათ იცით, რომ წყნარი ადამიანი ვარ და გოლზე რეაქციაც ჩვეული მქონდა. ბიჭებს გადავეხვიე და დაუვიწყარი მომენტი ასე აღვნიშნეთ.

— ტრიბუნებიდან არაფერს გეძახდნენ?

— როგორც ყოველთვის... თუმცა სტადიონს რაღაც უცნაური შევნიშნე — მომეჩვენა, რომ „კამპ ნოუ" სიჩუმეში ჩაიძირა...

— პრაქტიკულად, „ბარსას" ჩემპიონობა ხელიდან წაჰგლიჯეთ და ყველაფერი ისევ ბოლო ტურში უნდა გაირკვეს...

— იმ მომენტში ნამდვილად არ ვიცოდი, რომ „რეალმა" გაათანაბრა „სარაგოსასთან" ანგარიში. აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ მიღწეულ ფრეს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

— „სევილიასთან" წაგებული უეფას თასის ფინალის შემდეგ „ბარსასთან" შესანიშნავი მატჩი თქვენთვის ჭრილობაზე მალამოსავით იყო?

— არა... ის უეფას თასის ფინალი იყო, ეს კი ლა ლიგის თუნდაც დაძაბული, მაგრამ მაინც რიგითი მატჩი, სადაც მარტო ქულა მოვიპოვეთ. „ესპანიოლის" ფანობამ „ბარსელონასთან" ფრით გული ოდნავ მოიოხა, თუმცა უეფას თასის ჭრილობის მორჩენაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.

— გასახდელში რა ხდებოდა მატჩის შემდეგ?

— ცხადია, უდიდესი სიხარული იყო.

— თქვენ ახლა არა მარტო „ესპანიოლის", არამედ მადრიდის „რეალის" ფანების კერპიც ხართ...

— ასე გამოვიდა. თუმცა განგებ და რომელიმე სხვა გუნდის სასარგებლოდ არ მიბრძოლია. მე, კამენი და ყველა ესპანიოლელი ჩვენი გუნდის ღირსებისთვის გავისარჯეთ. იცით, რომ „კამპ ნოუზე" ფრის მიღწევა ნებისმიერი სტუმარი კლუბისთვის რთული საქმეა.

— 2006-07 წლების სეზონი „ესპანიოლისთვის" საერთოდ რთული და დაძაბული იყო. უკვე დაგეგმეთ, დასასვენებლად სად წახვალთ? მთას აირჩევთ თუ რომელიმე საზღვაო კურორტს?

— ყველგან წავალ, ოღონდ კი ნორმალურად დავისვენო. გიჟური წელიწადი გვქონდა და ყველას გვჭირდება განტვირთვა.

# რეალმა ბექემი ვერ იყიდა

მადრიდის „რეალს" დევიდ ბექემის ყიდვა უნდა... „ლოს ანჯელეს გალაქსიდან".

ესპანურმა კლუბმა ამერიკულს ოფიციალურად მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

ბექემმა სეზონის მეორე ნახევარი საუცხოოდ ჩაატარა და მადრიდელებს გასაშვებად არ ემეტებათ, თუმც გარიგება უკვე შემდგარია და ინგლისელი ნახევარმცველი ივლისიდან „გალაქსის" ფეხბურთელი გახდება.

ლოსანჯელესური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ალექსი ლალასმა მოკლედ მოჭრა: „ხელშეკრულება გაფორმებულია. ბექემი ითამაშებს ჩვენთან და არა „რეალში".

შეგახსენებთ, რომ „გალაქსიში" ხუთი წლის განმავლობაში დევიდ ბექემი 250 მილიონ დოლარს მიიღებს.

# რომეო ექვს მილიონად

„მიდლსბროს" მწვრთნელ გარეთ საუთგეიტს პსვ-დან რომეო კასტელენის ყიდვა უნდა.

ჰოლანდიელი ფორვარდი ბოროელებს მარკ ვიდუკას შემცვლელად სურთ, რომელიც „ნიუკასლში" გადავიდა. საუთგეიტის აზრით, კასტელენი ქერემი ალიადირთან ერთად შეტევაში ძლიერ წყვილს შექმნის.

შეგახსენებთ, რომ ალიადირი ერთი კვირის წინ „არსენალიდან" გადაიყვანეს.

კასტელენის ფასი 6 მილიონი გირვანქაა. მისით „პარმა", „ტორინო" და პსჟ არიან დაინტერესებულნი.

# ჰალფორდი კატებთან

პრემიერლიგაში აღზევებულმა „სანდერლენდმა", რომელსაც როი კინი წვრთნის, „რედინგის" მცველი გრეგ ჰალფორდი შეიძინა.

მის სანაცვლოდ „შავმა კატებმა" 3 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

კინს დაცვის გაძლიერება სურდა, რადგან „მანჩესტერიდან" ნათხოვარი დენი სიმპსონი და ჯონი ევანსი თავის კლუბს დაუბრუნდნენ.

# მარსელმა შიმიჩი დაათვალიერა

ფრანგული მედიის ცნობით, „მარსელი" „მილანის" მცველ დარიო შიმიჩით დაინტერესდა.

მარსელელთა ორი წარმომადგენელი გასულ კვირაში ზაგრებში იყო და ხორვატია — რუსეთის მატჩში შიმიჩის თამაში ნახა.

„მილანის" მცველს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის ივნისში ეწურება, ძირითად შემადგენლობაში კი იშვიათად ხვდება.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიგუ: ჯერ ფეხბურთელი და მერე ხელმძღვანელი



**ლუიშ ფიგუ** მომავალ სეზონშიც „ინტერში" ითამაშებს, მერე კი კარიერას დაასრულებს და „ნეროაძურის" ხელმძღვანელობაში ერთ-ერთ პოსტს დაიკავებს.

მოგეხსენებათ, ფიგუს „ალ იტიჰადში" გადასვლა გადაწყვეტილი იყო, თუმც ყატარულმა კლუბმა ფინანსური დაპირებები არ შეასრულა და კონტრაქტი გაბათილდა.

ერთი სიტყვით, „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატისა და სხვა „შავ-ლურჯების" თხოვნამ გაჭრა — ვეტერანი პორტუგალიელი ნახევარმცველი „სან სიროზე" რჩება.

„ლუიშ ფიგუმ მიიღო გადაწყვეტილება და კიდევ ერთი სეზონით „ინტერში" დარჩენას დათანხმდა. მიღწეულ სიტყვიერ შეთანხმებას მალე ოფიციალურ წერტილს დავუსვამთ და მის კონტრაქტს 2008 წლის 30 ივნისამდე გავახანგრძლივებთ. ამის მერე კი ფიგუ თავის დიდ გამოცდილებას და პროფესიონალიზმს კლუბში ერთ-ერთ პოსტზე გამოიყენებს" — ნათქვამია „ნეროაძურის" ოფიციალურ განცხადებაში.

**კოკი კანდელაკი**



# ფერნანდო ტორესს სელტა გაყიდის?

**მადრიდის** „ატლეტიკოს" ვიგოს „სელტასთან" დამარცხებამ და იმის შესაძლებლობამ, რომ გაისად მადრიდელებმა არა უეფას თასზე, არამედ ინტერტოტოზე ითამაშონ, შეიძლება, კლუბში გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს. მთავარი საკითხია, დარჩება თუ არა მწვრთნელად მექსიკელი ხავიერ აგირე.

აქამდე ცნობილი იყო, რომ აგირე ევროტურნირთა საგზურის მოპოვების შემთხვევაში მუშაობას გააგრძელებდა.

გაურკვეველია სპორტული დირექტორის მომავალიც — გარსია პიტარჩის მოხსნა ემუქრება.

ყველაზე მეტად მადრიდელებს მთავარ ვარსკვლავებთან დაკავშირებული სიტუაცია აწუხებთ. ფერნანდო ტორესზე ევროპული გრანდები კვლავაც ნადირობენ. ისევე, როგორც აგირე, ტორესიც თითქოს „ატლეტიკოს" ევროტურნირებზე მონაწილეობის შემთხვევაში უნდა დარჩენილიყო, თუმცა მედიის ცნობით, შესაძლოა, „ელ ნინიომ" მაინც გადაწყვიტოს „პაერის გამოცვლა".

თავად ფერნანდო ინტერვიუებში აცხადებს, რომ ევროტურნირებზე „ატლეტიკოსთან" ერთად თამაში უნდა, მაგრამ თუ მადრიდელები უეფას თასის მიღმა დარჩნენ? ჯერ უცნობია, რა მოხდება.

ისე, სხვა გუნდებზე მეტად „ელ ნინიოს" შეძენით რაფაელ ბენიტესის „ლივერპულია" დაინტერესებული.

**ლადო ხომერიკი**

# საინტერესო კალიარელა

**გენუის** „სამპდორიამ" ფაბიო კალიარელას ფასი დაადო. ბრწყინვალე ფორმაში მყოფი 23 წლის ფორვარდი, რომელიც სანახევროდ „უდინეზეს" ეკუთვნის, 15 მილიონი ღირს.



„ჩვენ „უდინეზესთან" ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს და, ცხადია, ფაბიოს მომავალს ერთად განვიხილავთ. „სამპდორიას" მიზანი კალიარელას შენარჩუნებაა. მის გაყიდვას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებით, თუ რაიმე განსაკუთრებულ წინადადებას მივიღებთ. ფაბიო თავად სატრანსფერო ბაზარმა უნდა შეაფასოს. მაგალითად, იგი რომ შევადაროთ ალბერტო ჯილარდინოსა და ფრანჩესკო ტავანოს, მისი ფასი დაახლოებით ამ ორს შორის უნდა იყოს" — განაცხადა „სამპდორიას" გენერალურმა დირექტორმა ბეპე მაროტამ.

კალიარელას ბევრ კლუბს უკავშირებენ, „იუვენტუსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ჩათვლით. თავად მან კი უკვე განაცხადა, სადაც უნდა ვიყო, ჩემთვის მთავარია, რეგულარულად ვითამაშო.

„ბუნებრივია, ფაბიოთი ბევრი კლუბია დაინტერესებული. იგი 23 წლისაა და დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მის შესანარჩუნებლად და ასეც იქნება, თუ რაიმე საინტერესო შემოთავაზებას არ მივიღებთ" — დასძინა მაროტამ.

**კოკი კანდელაკი**

# სევილია ლუდში ჩაიხრჩო

**უეფას** თასის ფინალის წინ ერთ-ერთი სევილიური ლუდსახარში კლუბის ფეხბურთელებს შეჰპირდა, რომ თასის მოგების შემთხვევაში თითოეულს იმდენი ლიტრი ლუდით დააჯილდოვებდა, რამდენსაც იწონიან.

„სევილიამ" „ესპანიოლი" პენალტებში დაამარცხა და მეკარე ანდრეს პალოპი გმირი გახდა. შეპირებულის მიღებისას ცერემონიალს კლუბის პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო და მწვრთნელი ხუანდე რამოსიც ესწრებოდნენ. პალოპი აწონეს და 85 კილო გამოდგა, ათით მეტი იმაზე, რაც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ეწერა. მეკარემ კუთვნილი ლუდი (225 ბოთლი) მაინც მიიღო, მწვრთნელს კი ამის მერე პალოპის წონის შემოწმება ხშირად მოუწევს.

# მალიორკა ფსონებს ზრდის
## ბოლო ტურის აუქციონი

**მადრიდში** უკვე ყველაფერი მოამზადეს საჩემპიონო ზეიმისთვის. „რეალი" კვირას „მალიორკას" მასპინძლობს და თუ სამეფო თეთრებმა მოიგეს, ფაბიო კაპელოს გუნდი და საერთოდ ესპანეთის სატახტოს თეთრი ნაწილი გრანდიოზულ ფიესტას გამართავს.

ოთხი წელია, „რეალს" პრიმერადივიზიონის მოგებით არ გაუხარია და მადრიდული ინჩადაც მონატრებული სიხარულის მორევში ჩაძირვას კვირას აპირებს.

მთავარი ზეიმი, რა თქმა უნდა, სიბელესის შადრევანთან გაიმართება. კასტილიური გრანდი თავის გამარჯვებებს ყოველთვის იქ აღნიშნავს, თუმცა ბოლო რამდენიმე წელიწადია, „რეალის" უსახური თამაშის გამო ფანებს სიბელესისკენ მიმავალი გზა გადაავიწყდათ.

ახლა კი ყველაფერი სხვანაირადაა...

მადრიდის მერიამ თადარიგი წინასწარ დაიჭირა. სიბელესის შადრევანთან საგანგებო სცენა ააგეს, სადაც „რეალის" ფეხბურთელები გამოვლენ და გულშემატკივრებს მიესალმებიან. ანტიკური ქალღმერთის ქანდაკებაზე აძრომისა და იქ სამეფო გუნდის დროშის აღმართვის უფლება კი მხოლოდ გუნდის კაპიტანს აქვს — „რეალის" მებაირაღე რაულ გონსალეს ბლანკო იქნება.

რაც შეეხება „მალიორკას", „რადიო მარკას" დირექტორმა აგუსტინ კასტელოტემ პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, რომ კუნძულელთა გუნდი „სანტიაგო ბერნაბეუზე", თუნდაც ქულის მოპოვების შემთხვევაში, ჯილდოდ 600 ათას ევროს მიიღებს. ამ ფულს ვინ ჩამოდის, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა სენიორ კასტელოტეს თუ ვენდობით, პრემიალური თანხის რაოდენობა კვირამდე აუცილებლად გაიზრდება...

გრეგორიო მანსანოს გუნდი პრიმერას ცხრილში მეთერთმეტეზეა. „მალიორკას" ბოლოსწინა ტურში ჩემპიონობის მაძიებელ „სევილიასთან" ჰქონდა ომი, სადაც კუნძულელებმა უგოლო ფრე გაახერხეს. ახლა „მალიორკა" ლიდერს უნდა ესტუმროს...

**ლადო ხომერიკი**



# სამი კათხა და ათი სიგარეტი



**სად** აღარ იმკურნალა პოლ გესქოინმა ალკოჰოლიზმისგან, მაგრამ მისთვის ყველა გზა მაინც პაბში მიდის. ინგლისელი ცოტა ხნის წინ 40 წლის გახდა და იუბილეზე საავადმყოფოში მოხვდა კუჭის წყლულის დიაგნოზით. მკურნალობის შემდეგ ჩვევა არ მოიშალა და ორიოდ დღის წინ ისევ პაბში ნახეს. ოთხი საათი გაატარა სალუდეში და, როგორც გაირკვა, მხოლოდ სამი კათხა მიირთვა და ათი ღერი სიგარეტი მოწია.

„გაზა" ისეა მოტეხილი, რომ ასაკთან შედარებით ორჯერ უფრო ბებრად გამოიყურება. მას მალე ფილმში გადაიღებენ, ფანტასტიკურ „ბოევიკში", რომელშიც მსოფლიო უცხოპლანეტელებისგან უნდა იხსნას. მსახიობს კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა მოეთხოვება და თუ ყოველდღე ოთხი საათი გაატარა პაბში, გადასაღები მოედნის ნაცვლად ისევ საავადმყოფოში მოხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბრაზილია
სერია A. V ტური

კრუზეირო 2:3 ჟუვენტუდე
სან პაულუ 0:1 ატლ. მინეირო
ინტერნასიონალი 1:0 სანტოსი

### აშშ
MLS. X ტური

კოლუმბუსი 1:2 ჰიუსტონი

### კონკაკაფის ოქროს თასი 2007
C ჯგუფი. II ტური

პანამა 2:2 კუბა

### არგენტინა
კლაუსურა
XVIII ტური

ესტუდიანტესი 2:0 არგ. ხუნიორსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 24 | ანტვერპენი-კორტრაიკი | 1.40 | 3.90 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| 22:30 | 25 | მეხელენი-ლიერსი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 34 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 21:00 | 35 | აკადემისკი-ფრემადი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 62 | იურგორდენი-გიოტებორგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 22:00 | 63 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | გაის-ელფსბორგი | 3.70 | 3.40 | 1.95 | 1.77 | 1.27 | 1.23 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 73 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.60 | 3.70 | 5.20 | 1.11 | 1.22 | 2.16 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 83 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 120 | ბოტაფოგო-ვასკუ და გამა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 162 | აშშ-სალვადორი | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 23:45 | 163 | გვადელუპა-ტრინიდადი და ტობაგო | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | ევროპის ჩემპიონატი(21) | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 22:45 | 144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 170 | ბოკა ხუნიორსი-გრემიო | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| | | ჩოგბურთი.კაცები ლონდონი (ბალახი) | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 13:30 | 205 | ხენმენი-ჩილიჩი | 1.30 | 3.10 | | | | |
| | | ჩოგბურთი.ქალები ბირმინგემი (ბალახი) | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 210 | პუჩკოვა-კერბერი | 1.30 | 2.80 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10064 | გაის-ელფსბორგი | 4.15 | 2.10 | 2.35 | 1.39 | 1.50 | 1.10 |
| 10073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 2.05 | 2.20 | 5.60 | 1.06 | 1.50 | 1.57 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11064 | გაის-ელფსბორგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 12063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12064 | გაის-ელფსბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13064 | გაის-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.75 | 2.10 |
| 14064 | გაის-ელფსბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.30 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | გაის-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.52 | 2.20 |
| 16063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.52 | 2.20 |
| 16064 | გაის-ელფსბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.22 | 3.40 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.52 | 2.20 |
| 16063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.52 | 2.20 |
| 16064 | გაის-ელფსბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.22 | 3.40 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჭადრაკი




### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. მეორე ეტაპი

# გრიშჩუკს ეტლი დაეჯახა

IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | (1,5:2,5) | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | (1:3) | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 1:0 | (2:2) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | (2,5:1,5) | გატა კამსკი (აშშ) |

**მეოთხე ტურში** სერგეი რუბლევსკიმ ალექსანდრ გრიშჩუკი დაამარცხა და სერიაში ანგარიში 2:2 გაათანაბრა.

გრიშჩუკს თამაშზე დაგვიანება უკვე ტრადიციად ექცა. ამჯერად მან მეტოქე ორი წუთი ალოდინა. რუბლევსკიმ კი, როგორც, ჩანს წინადღით კარგად შეისწავლა მეტოქის ტაქტიკა, დებიუტში ყველაფერი ზუსტად გათვალა და ქულის აღებაც არ გასჭირვებია.

როგორც მეორე ტურში, მოჭადრაკეებმა აქაც შოტლანდიური პარტია გაითამაშეს. თავიდან გრიშჩუკი გააქტიურდა, დიდი ძალებით შეუტია თეთრებს და გაცვლებს მიმართა. მე-12 სვლაზე რუბლევსკიმ როქი გააკეთა, მეფე დაცულად იგულა და იერიშები დაიწყო. 21-ე სვლაზე სერგეი ხარისხით დაწინაურდა, ეტლები ლაზიერის ფლანგზე გადასვა და მოწინააღმდეგეს აქედან დაარტყა. რუბლევსკის ეტლები შავების სამფლობელოში ქარიშხალივით დატრიალდნენ, ყველა პაიკი დახოცეს და 66-ე სვლაზე ხელმწიფეც დაამამათეს.

„რთული პოზიცია იყო, მაგრამ ტაქტიკურად ყველაფერი სწორად გავთვალე და მოვიგე" — განაცხადა რუბლევსკიმ მატჩის შემდეგ.

**ლუშა გეგეჭკორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპია ოლიმპიდან ჩამოაგდეს

## მარკოიშვილმა ვერ გაასამა



**სლოვენიაში** დასრულდა „ოლიმპიას" ბატონობა. ლიუბლიანურმა გუნდმა ფინალური სერიის მეხუთე, გადამწყვეტი მატჩი დომჟალეში „ჰელიოსთან" წააგო და ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნა. მანუჩარ მარკოიშვილს შანსი ჰქონდა, ზედიზედ მესამედ გამხდარიყო სლოვენიის ჩემპიონი, მაგრამ...

თუმცა „ოლიმპიას" წაგება ყოვლად კანონზომიერი იყო, რადგან ლიუბლიანელებს არ ჰყავდათ სამი ლიდერი და თან ფინანსურადაც გაჭირვებულები არიან. თვეებია, მოთამაშეებს ხელფასი არ აუღიათ და შიშველი ენთუზიაზმით მივიდნენ ფინალამდე, სადაც უკვე სერიოზული მეტოქე გადაეყარათ და ფარ-ხმალიც დაყარეს.

მანუჩარ მარკოიშვილი ნახევარფინალური სერიის დასაწყისიდან გამოაკლდა გუნდს. მან ფეხი იტკინა და ოპერაციას ბეწვზე გადაურჩა, თუმცა სარეაბილიტაციოდ ექიმებმა თვენახევარი გამოუწერეს და ქართველი უკანახაზელისთვის სეზონი ნაადრევად, გადამწყვეტ მომენტში დასრულდა. „მანუს" გარდა, ლიუბლიანელებს აკლდათ დაშავებული ტეემუ რანიკო და დომენ ლორბეკი. ასეთ ვითარებაში ალბათ ისიც მიღწევაა, „ოლიმპია" ფინალში რომ გავიდა.

წესით, გადამწყვეტი ფინალური მატჩი გვარიანად დაძაბული უნდა ყოფილიყო. მანამდე თითქმის ყველა შეხვედრაში გამარჯვებული ფიცხელ ბრძოლაში გამოვლინდა, მაგრამ მოლოდინმა არ გაამართლა, დომჟალელებმა ხელიდან არ გაუშვეს მომენტი, ერთი ამოსუნთქვით მოუგეს ოლიმპიელებს და გუნდის ისტორიაში პირველი ჩემპიონობა მოიპოვეს.

„ჰელიოსმა" პირველივე მეოთხედში რომ იგდო ხელთ მცირე უპირატესობა, თანდათან ზარდა და მესამე მეოთხედში მეტოქე საბოლოოდ გატეხა. სმილიან პავიჩისა და დარიო კრეჟიჩის აქტიურობით მასპინძლებმა გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე 17-ქულიანი ლიდერობა მოიხელთეს და ეს უპირატესობა ტრავმებით გატანჯულ მეტოქესთან ალარც გაანიავეს.

დომჟალეში თამაშის დასრულებისთანავე სახალხო ზეიმი გაიმართა. დედაქალაქელების ბატონობა პროვინციული ქალაქის გუნდმა დაამხო. ასე იყო 2002 წელსაც, როცა კიდევ უფრო ციცქნა ქალაქ ნოვო მესტოს „კრკამ" „ოლიმპიას" ფინალში დამარცხება შეჰკადრა.

მანუჩარ მარკოიშვილს „ოლიმპიასთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და თუ ლიუბლიანელებთან დარჩა, მომავალ წელს ალბათ დაიბრუნებს ტიტულს. აქამდე სლოვენიაში ვლადიმერ სტეფანიასა და ვლადიმერ ბოისასაც უჩემპიონიათ.

**ირაკლი ბერტაია**

# ისლანდია: ჯუჯათა შორის გოლიათი

**მონაკოში** დასრულდა ევროპის ჯუჯა ქვეყნების XII თამაშები, რომელმაც ჩვენი ყურადღება მხოლოდ იმიტომ მიიქცია, რომ მასში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები — ისლანდია და ლუქსემბურგი მონაწილეობდნენ.

ტურნირმა ცხადყო, რომ ჯუჯათა შორის გოლიათი ისლანდიაა, რომელიც ხუთიდან ხუთი გამარჯვებით პირველ ადგილზე გავიდა.

სხვათა შორის, პირველობა სურდა ლუქსემბურგსაც და საამისოდ მძლავრი ნაბიჯიც გადადგა, როცა ბოლოსწინა ტურში ფავორიტ კვიპროსს დრამატულ მატჩში მოუგო. ბოლო ტურში კვიპროსელები სწორედ ისლანდიას ხვდებოდნენ და ლუქსემბურგიც იმედით შეჰყურებდა ამ მატჩს, მაგრამ შეხვედრა ჩაიშალა. საქმე ის გახლავთ, რომ კვიპროსმა პროტესტის ნიშნად დატოვა საკალათბურთო ტურნირი, რადგან ჩათვალა, რომ ლუქსემბურგს მსაჯები ემხრობოდნენ და მოაგებინეს კიდეც.

კვიპროსს ისლანდიასთან ტექნიკური მარცხი ჩაეთვალა და ჩრდილოელებმა პირველი ადგილი გაინაღდეს. ისლანდიელებმა უფრო გუნდური თამაშით მიაღწიეს წარმატებას, ლუქსემბურგელები კი ძირითადად ლიდერთა მარიფათზე იყვნენ დამოკიდებულნი.

ლამარ ჯონსის ნაცვლად ბენილუქსელებმა მეორე ამერიკელი ლარი სმიტი შეიმატეს, რომელიც თითქმის ყველა მატჩში წინამძღოლობდა გუნდს. ისლანდიასაც და ლუქსემბურგსაც ქართველები საკვალიფიკაციო მატჩებში სტუმრად ხვდებიან და აქედანვე ჩანს, რომ იოლ გასეირნება არც ერთგან არ იქნება.

**ირაკლი ბერტაია**




## სან ანტონიო 2:0 კლივლენდი

10 ივნისი, სან ანტონიო, 18 797 მაყურებელი



ტიმ დანკანის „სან ანტონიომ" დრიუ გუდენის „კლივლენდი" დააბრმავა

# ჰკა დეზი ფერდში კავალერიას

## ანუ სადაც შენი ჩავარდეს, იქ ჩემიც დათვალეო

**სან ანტონიო 103:92 კლივლენდი**

**28:17 30:16 31:29 14:30**

**სან ანტონიო:** პარკერი (30), ფინლი (2), ბოუენი (3), დანკანი (23 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ობერტო (4); ჯინობილი (25), ელსონი (6), ჰორი (5 ქულა, 9 მოხსნა, 5 დაფარება), ბერი (3), ვონი (2)

**კლივლენდი:** ჰიუზი, პავლოვიჩი (10), ჯეიმსი (25 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი), გუდენი (13), ილგაუსკასი (9); გიბსონი (15), ვარეჟაო (8 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (6), მარშალი (5), სნოუ (1)

ლებრონ ჯეიმსის გულშემატკივართა არმიას შეუძლია, პროგრესზე ჩამოაგდოს სიტყვა — 25 ქულა ურიგო შედეგი არ არის, მით უფრო 14-ქულიანი პირველი თამაშის შემდეგ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ვარსკვლავბიჭუნამ ფინალის მეორე მატჩიც თითქმის ისევე ჩააგდო, როგორც პირველი. „კლივლენდი" კი ის გუნდი არაა, ლიდერის გარეშე „სან ანტონიოსთან" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. ბოლო მეოთხედს თუ არ ჩავთვლით — სადაც „კავალერიასთან" ბრძოლაში კარგა გვარიანად დაწინაურებულმა ტეხასელმა კოვბოებმა ჩათვლიმეს და ლამის ცხენებიდან ჩამოცვივდნენ — ეს მატჩი პირველზე უფრო ცალფარა გამოვიდა.

ლებრონმა რიხით დაიწყო. სამი დღის წინ მას პირველ ტაიმში თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდია, ახლა კი დაწყებიდან რამდენიმე წამში ლარი ჰიუზის აცილებულს დაამატა და 2:0 დააწინაურა „კლივლენდი". ეს იყო და ეს. ორიოდ წუთში ეს შეხვედრა გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა წინას — ლებრონმა ძალიან მალე ორი პერსონალური აიკიდა და „სან ანტონიო" 7:2 რომ გაიჭრა, სტუმართა თავკაცმა მაიკ ბრაუნმა ის სათადარიგოთა სკამისკენ გაიხმო. ლებრონი 22 წლისა კია, მაგრამ ყოველთვის დალვინებული და გაწონასწორებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმც ახლა ნერვები ველარ მოთოკა და სკამზე დაცემულმა დამრიგებლის მისამართით უშვერი სიტყვები ამოისროლა.

ამასობაში კი „სან ანტონიო" თავის საქმეს აკეთებდა და თანდათან გუდავდა მეტოქეს. სამნახევარი წუთი იყო გასული, „სფურზი" 16:6 რომ დაწინაურდა. ბრაუნმა ტაიმაუტით სცადა მომხდურთა შეჩერება და თავისიანთა გამოფხიზლება. „კავალერია" თითქოს გონს მოეგო და მონაკვეთი 7:0 მოიგო, მაგრამ ამაზე ბრაუნის ყოფილმა მასწავლებელმა, აწ კი ოპონენტმა გრეგ პოპოვიჩმა ტაიმაუტითვე უპასუხა, პოპოვიჩის ბიჭებმა კი ასევე 7:0 გაქცევით.

ეს ყველაფერი ულებრონოდ მოხდა. ბრაუნმა ის მეორე მეოთხედის დაწყებისას დააბრუნა მოედანზე — რაც უნდა იყოს და რაც უნდა უფერულად ითამაშოს, ჯეიმსი მაინც თავისი გუნდის გამოკვეთილი ლიდერი და ერთადერთი იმედია. მაგრამ აშკარად დათრგუნულმა ლებრონმა ზედიზედ ორი ტყორცნა გააცუდა. სამაგიეროდ, ზედიზედ ორი ჩააგდო „სფურზის" ლიდერმა ტიმ დანკანმა, რომელიც დაბალ თანაგუნდელებთან — ტონი პარკერთან და მანუ ჯინობილისთან ერთად ეს დღეებია, პირდაპირ სისხლს უშრობს მეტოქეს. „სან ანტონიო" მალე 19 ქულით გადალიდერდა. აქ ჯეიმსი ისე დაიბნა, რომ საშუალო მანძილიდან ნასროლი საერთოდ ვერ უწია კალათს, რითაც დიდად ალაფრთოვანა ათასობით ისედაც ცხელსისხლიანი და დაუცხრომლად მოქომაგე ტეხასელი. ჯეიმსი თითქოს მალე გამოერკვა, ჩატენვაც კი მოახერხა, ამის 3 საჯარიმოც მოაყოლა და 5:0 პირადი სპურტი მოიწყო. მაგრამ მას აქაც გასცეს ნათელი პასუხი — სადაც შენი ჩავარდეს, იქ ჩვენი ჩაგდებულებიც დათვალეო — ტონი პარკერმაც ზედიზედ 5 ქულა გააკეთა. მოკლედ, არაფერი გამოსდიოდათ არც ჯეიმსს და არც მისიანებს, რაც პირველ რიგში სანანტონიოელთა გადასარევი თამაშის „ბრალი" იყო. „დეზები" „კავალერისტებს" ფერდებში ჩხვლეტდნენ და ალვირით მაგრად ეჭირათ. ტაიმი 25-ქულიანი სხვაობით მორჩა. „სფურზის" 58 ქულიდან 16 პარკერის, 15 დანკანის და 12 ჯინობილის ანგარიშზე მოდიოდა.

მესამე მეოთხედში სურათი არ შეცვლილა, „კლივლენდმა" ჩამორჩენა 22 ქულაზე დაბლა ვერ დაიყვანა, „სან ანტონიომ" კი უპირატესობა ერთხანს 29 ქულამდე აიყვანა. საქმე მოგვარებული იყო, გამარჯვებულის ვინაობა გარკვეული. გრეგ პოპოვიჩმაც ბოლო მეოთხედის სათადარიგოებით ჩათამაშება გადაწყვიტა და მატჩსაც აქ გამოუჩნდა ინტრიგის ხავსი. „კლივლენდმა" ის მაინც მოახერხა, რომ ამით ესარგებლა — „კავალიერზის" ლირმა სათადარიგო დეიმონ ჯონსმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. ლებრონ ჯეიმსმაც თავისუფლება შეიგრძნო და შეიტკბო — მანაც ზედიზედ ორი 3-ქულიანი შეტევა გაჩარხა. სხვებიც წამოეშველნენ და „კლივლენდმა" ბოლო მეოთხედის პირველი 7 წუთი 25:6 მოიგო, რითაც 8 ქულამდე მიეახლა „სან ანტონიოს". დამთავრებამდე კიდევ რჩებოდა 5 წუთი. პოპოვიჩს დამწვრის სუნი რომ ეცა, არიქა, რალაც ვქნათო და შემოუშვა მებრძოლი შემადგენლობა. „კლივლენდის" ადგილზე უფრო გამოცდილი გუნდი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, მეტოქის ბანაკში არეულობით ესარგებლა და ბოლომდე მიძალებოდა, მაგრამ სტუმრებს თითქოს თავდაჯერებულობა აკლდათ, თან იქ ჯინობილიმ ერთ შეტევაში 4 ქულა ჩაუგდო და ისინიც ნაადრევად დანებდნენ.

ამგვარად, „სან ანტონიო" ფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურდა. ლებრონიანები ეცდებიან, შინ მაინც გამოასწორონ რამე — მესამე მატჩი 12 ივნისს (ჩვენი დროით 13 ივნისის ღამეს) კლივლენდში გაიმართება.

**კოტე ყორშია**

# გამართა, რეზერვა გამართა

## მალხაზ ჭეიშვილს სასაყვედურო არაფერი აქვს

ბუქარესტში მიმდინარე რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ მოწყობილ სადებიუტო ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა მეორე მატჩი გამართა სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელებთან და ღირსეულად, 7:24 წააგო. ალბათ ენა არავის მოუბრუნდება ჩვენი „ლელოების" დასაძრახად. მით უმეტეს, რომ „მზარდმა ქურციკებმა", როგორც 23-წლამდელთა ნაკრებს სამშობლოში უწოდებენ, წინა ტურში მასპინძელი რუმინეთი 61:7 გაანადგურეს. გუშინ ბუქარესტში ჩვენების მწვრთნელ *მალხაზ ჭეიშვილს* დავუკავშირდით და მატჩისშემდგომი მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით



— მართალია წავაგეთ, მაგრამ ვინც რაგბიში ოდნავ მაინც არის ჩახედული, კარგად იცის, რომ სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდულ ნაკრებთანაც მოგება სენსაცია იქნებოდა. თანაც ამ ტურნირზე მეორეზე შემადგენლობით ჩამოვედით, სამხრეთ აფრიკასთან კი სულაც რამდენიმე ახალბედა ვათამაშეთ.

**— შემადგენლობის ხშირი ცვლა კალენდრის სიმჭიდროვის გამო ხდება?**

— ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია. ამასთან, ნამიბიასთან მატჩის შემდეგ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე ტრავმირებულია და მათ დასასვენებლად და ტრავმის მოსაშუშებლად დრო მივეცით. თანაც ეს ტურნირი მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად გვინდა და ნაკრების კანდიდატებს თავის გამოჩენის საშუალებას ვაძლევთ. სამხრეთ აფრიკასთან დებიუტანტებმა, შერკინების პირველხაზელებმა, ირაკლი ჭყონიამ და დაჩი ყუფარაძემ სასიამოვნოდ გამაოცეს. ძალიან კარგი თაობა მოდის და რეზერვიც საკმარისია.

**— გამოდის, სამხრეთ აფრიკასთან ჩვენების თამაშით კმაყოფილი ხართ...**

— სასაყვედურო არაფერი მაქვს. მართალია, შეტევაშიც და დაცვაშიც გვქონდა შეცდომები, მაგრამ ასეთ მეტოქესთან ეს მოსალოდნელიც იყო, თანაც ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ სათადარიგოების სათადარიგოებით ვთამაშობდით. თანაც ათ-ათი წუთით ორჯერ ვიყავით უმცირესობაში, მაგრამ ბიჭები მეტოქეს მაგრად დაუდგნენ. მეორე ტაიმში კი, როდესაც ანგარიში 7:14 იყო, აფრიკელთა ლელომდე ხუთი მეტრიღა რჩებოდა, ჩვენი მორკინალებიც აწვებოდნენ, თითქოს ლელო უნდა გაგვეტანა, მაგრამ ბურთი წინ გაუვარდათ და შეტევა ჩაიშალა.

**— ტურნირზე ერთი მატჩი დაგრჩათ. იტალიის „ა" ნაკრებს ეთამაშებით...**

— იტალიის მეორე გუნდის თამაში ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ ამ ქვეყანაში რაგბი ძალიან განვითარდა. მართალია, რუმინეთთან წააგეს, მაგრამ ისეთი მატჩი იყო, მოგებაც შეეძლოთ. იტალიასთან შეძლებისდაგვარად ძირითად შემადგენლობას ვათამაშებთ და გამორიცხული არაა, მოვიგოთ კიდეც.

**ბაჩო სვანიძე**

საფრანგეთის ჩემპიონატი. ფინალი. 10 ივნისი



# ქართველების ფრანგულმა ოქრო ვერ გაჭრა

**სტად ფრანსე 23:18 კლერმონი**
**სტად ფრანსე:** 2ლ: პიშო, სამო; 2ბ: ერნანდესი; 3ს: ერნანდესი
**კლერმონი:** 5ს: ჯეიმსი; 1ბ: ფლოკი

საქართველოს ნაკრების ბურჯებს გოდერძი შველიძეს და დავით ზირაქიშვილს მშვენიერი შანსი ჰქონდათ, არნახული წარმატებისთვის მიეღწიათ და საფრანგეთის ჩემპიონები გამხდარიყვნენ, მაგრამ მათმა „კლერმონმა" დრამატულ ფინალში ბოლო წუთზე წააგო დედაქალაქურ „სტად ფრანსესთან" და მეორეობას დასჯერდა.

აქვე ვთქვათ, რომ ტრავმის გამო შველიძეს არ უთამაშია, ზირაქიშვილი კი 50-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, როცა „კლერმონის" 12:0 იგებდა. მიუხედავად ამისა, ორმა ქართველმა თავისი წილი ვერცხლის მედალი მაინც ირგუნა.

მატჩი თავიდან „კლერმონის" უპირატესობით დაიწყო და ბოლო წუთამდე ასე გაგრძელდა. ბოლო წუთზე კი, როდესაც ქართველების გუნდს 18:16 იგებდა და თვალი საჩემპიონო ფარისკენ ეჭირა, სტადფრანსელი რიო სამო შურდულივით შევარდა „კლერმონის" ლელოში და თავისიანებს მოაგებინა.

ერთიც, საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი საქართველოს ნაკრების ყოფილი ბურჯი მევლუდ მთიულიშვილიც გამხდარა. ხუთი წლის წინ მისმა „აჟენმა" ფინალში დიმიტრი იაშვილს „ბიარიცთან" წააგო.

**ბაჩო სვანიძე**

# აქაც ზელანდია, იქაც ზელანდია, ყველგან ზელანდია

**რაგბის სამხრეთული ტესტების მესამე უქმეებზე კვლავ ყველა მასპინძელმა მოიგო. ავსტრალიამ და სამხრეთ აფრიკამ უფხო კუნძულელებს უმასპინძლეს, არგენტინამ იტალიას ჩაუტარა გაკვეთილი, ახალმა ზელანდიამ კი ტურნეზე მესამე გუნდით ჩასულ საფრანგეთს მუქარა არ აპატია და საქვეყნოდ შეარცხვინა**

**ახ. ზელანდია 61:10 საფრანგეთი**
**ახ. ზელანდია:** 9ლ: ოლივერი, კელეჰერი, როკოკოკო, მაკდონალდი, ტოეავა, კოლინზი, მეალამუ, ევანსი; 5ბ: მაკალისტერი; 2ს: მაკალისტერი;
**საფრანგეთი:** 1ლ: ლარაჟუ; 1დ: ბოიე; 1ს: ბოიე;

წინა შაბათს „ოლ ბლექსმა" საფრანგეთს 42:11 რომ მოუგო, ნამატჩევს ზელანდიელთა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ სტუმრები მაგრად აძაგა, აქაოდა, ფრანგები ტრავმებს იმიზეზებდნენ, შერკინებაში მუხლები უკანკალებდათ და ტემპს აგდებდნენ, ჩვენი თამაშისთვის მუღამი რომ დაეკარგათო.

პასუხი არც „მამლების" მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა დააგვიანა: „ჩვენ ისედაც მესამე შემადგენლობით ჩამოვედით და მეტოქე მაგრად ვაწვალეთ. ჰენრი ალბათ ამან გააცოფა, თორემ ზელანდიელებს უხეშობისთვის საკადრისი პასუხი რომ გავეცით, ეს ჩვეულებრივი ამბავია."

მწვრთნელს მხარი ფრანგთა გაუპარსავმა და გრძელთმიანმა მორკინალმა, სებასტიან შაბალმაც აუბა: „ის, რომ მესამე გუნდით ვართ, ეგ რაგბის მამების ბრალია, საფრანგეთში ახლა გაგანია პლეი ოფებია და ელიტარულმა კლუბებმა მორაგბეები არ გამოუშვეს. ტემპის დაგდება და ტრავმების მომიზეზება კი ჩვენი საქმე არაა, პირიქით, ყველაფერს დავიფიცებ, რომ ალალად ვითამაშეთ. მეტოქეს პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენი ძაგებისთვის ჭკუას ბავშვებივით ვასწავლით."

ერთი სიტყვით, წინასამატჩო ომი მატჩზე სასეირო გამოდგა, ახალმა ზელანდიამ კი ლლაბუც-ლლაბუცით გადაურბინა ფრანგებს. გამოსარჩევი ამბავი ის იყო, რომ „ოლ ბლექსის" მორკინალმა ალი უილიამსმა სებასტიან შაბალი მოედანზე თმებით ითრია და ახლა სარაგბო ტრიბუნალზეა დაბარებული.

ნამატჩევს ფრანგმა ვარსკვლავმა ტომას კასტანიედმა კითხვაზე, ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი, ასეთი სახალისო პასუხი გასცა: „თასს ახალი ზელანდია მოიგებს, მეორე ადგილზე ახალი ზელანდიის „ა" ნაკრები გავა, მესამეზე კი — ახალი ზელანდიის ახალგაზრდული ნაკრები!"



„შავებმა" სებასტიენ შაბალი თმებით ითრიეს

**ავსტრალია 49:0 ფიჯი**
**ავსტრალია:** 8 ლ: სტენფორდი (2), ტუკირი (2), ჰუქსლი, ლარქემი, ნორტონნაითი, ეშლი-კუპერი; 3ბ: ჰუქსლი; 1ს: ჰუქსლი

ავსტრალიამ მომავალ უქმეებზე წლევანდელი სამი ერის სტარტზე, კეიპტაუნში სამხრეთ აფრიკას რომ სტუმრობს, ძირითადის ექვსი რაზმელი — მეტ ჟიტო, ნათან შარპი, სოკი ელსომი, ვაიკლიფ პალუ, მარკ ჯერარდი და მაიკლ შეპარდსონი ტესტისგან გაათავისუფლა და ადაპტაციისთვის კეიპტაუნში მიავლინა. ოღონდ ავსტრალიური რაგბის მამებმა ექვსეულს დააბარეს, ჯიგრით ივარჯიშეთ და არ ილოთოთო.

1998 წელს აქეთ ავსტრალიამ პირველად გაუყადრა თავი კაციჭამია ფიჯის და ტესტზე დაჰყაბულდა, რადგან წლევანდელ მსოფლიოს თასზე ავსტრალია და ფიჯი ჯგუფურ ეტაპებზე მეტოქეები არიან. ჰოდა, „ვოლაბებმა" ისურვეს, მოწინააღმდეგეს გავსინჯავთო.

გამოსარჩევი ამბავი კი მატჩამდე მოხდა. ავსტრალიის მთავრობამ „მწვანე კუნძულზე" არ შეუშვა ფიჯელთა მორკინალი იალა-იალა ტამბუა და მწვრთნელის ასისტენტი სემი რონგო-იავა. ეს ორნი სამხედროები არიან და ახლახან ფიჯიზე მომხდარი უკვე მერამდენე გადატრიალების მოთავეებიც ყოფილან.

**ს.აფრიკა 35:8 სამოა**
**ს. აფრიკა:** 5ლ: სმიტი, პიტერსონი, შტეინი, ვანენბურხი, მონტგომერი; 2ბ: პუხაარდი, მონტგომერი, 2ს: პუხაარდი;
**სამოა:** 1ლ: ანიტელეა-ტუილაი; 1ს: უილიამსი

ორწლიანი პაუზის შემდეგ სამხრეთ აფრიკას შერკინების ჩამკეტად (8 ნომერი) დაუბრუნდა სრულიად აფრიკის პლეიბოი და სიამაყე ბობ სკინსტადი, რომელმაც შარშან ზაფხულში თბილისში „ბარბაროსებს" უკაპიტნა.

სამოელებს 35 წლის უნივერსალი მოიერიშე ბრაიან ლიმა აკლდათ. მას ტრავმა აქვს, მაგრამ წლევანდელ მსოფლიოს თასზე უეჭველად ითამაშებს. ლიმასთვის ეს მეხუთე მსოფლიოს თასი იქნება და ამით უკან მოიტოვებს რეკორდსმენებს — კანადელ გარეთ რიისსა და ინგლისელ ლეგენდას ჯეისონ ლეონარდს.

**არგენტინა 24:6 იტალია**
**არგენტინა:** 2ლ: ლეონელი, სერა; 1ბ: სერა; 4ს: სერა;
**იტალია:** 2ს: ბორტოლუცი

არგენტინას საექსპერო „სკალპების" კოლექციამდე ბეჩავი უელსის მოგებაღა აკლია. „პუმებმა" წლეულს სტუმრად უკვე მოუგეს მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისს, მსოფლიოს თასის მასპინძელ საფრანგეთს, უტეხ შოტლანდიას, შინ ორჯერ მიანგრიეს ირლანდია და ახლა მოყოჩაღებულ იტალიასაც კუდით ქვა ასროლინეს.



# გორი-თბილისი-ლოზანა

## საუკეთესო მოჭიდავეს უკეთესი პირობები სჭირდება

**პარასკევს შვეიცარიულ ლოზანაში ჭიდაობის საერთაშორისო ასოციაცია ახალი სპორტული ბაზის პრეზენტაციას აწყობს და მსოფლიოს თითქმის ყველა ფედერაციის დელეგაცია მიიწვია. ორგანიზატორებმა საქართველოდან მიწვეულ სამკაციან სიაში მოქმედი სპორტსმენი გიორგი გოგშელიძეც შეიყვანეს. შარშანდელი სეზონის საუკეთესო თავისუფალი სტილის მოჭიდავედ დასახელებულ ქართველს იმ აღიარებისთვის ახლა დააჯილდოვებენ**

— სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა — გვითხრა გოგშელიძემ — საუკეთესოდ გახდომის ხომ შემდეგ უკვე კარგა ხანი გავიდა და ცოტა უცნაურია, ახლა რომ მაჯილდოვებენ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. საერთოდაც, იმ აღიარების შესახებ თავის დროზეც შემთხვევით გავიგე. მეგობრებმა ინტერნეტში ნახეს ინფორმაცია და მახარეს.

— თვითონ როგორ შეაფასებდი შარშანდელ სეზონს?

— ერთიანობაში საკმაოდ წარმატებული წელი მქონდა. ტურნირებზეც სტაბილურად გამოვდიოდი, მაგრამ ორ მთავარ შეჯიბრზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბრინჯაო და ვერცხლი ავიღე. ოქროს გარეშე დარჩენა ყოველთვის დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ტოვებს.

— ორჯერვე ჰაჯიმურატ გაცალოვმა გადაგიღობა ოქროს გზა. ამ რუსს ბევრი შენს უხერხულ მეტოქედ მიიჩნევს. ეთანხმები ამ აზრს?

— გაცალოვს უხერხულ მეტოქედ ვერაფრით ჩავთვლი. მერე რა, რომ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვს. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი მოსკოვში ჩატარდა და როგორ მაჯობა, ყველამ კარგად ნახა. მსოფლიოზე კი მთლად ჯანზე ვერ ვიყავი. იღბალმაც ზურგი შემაქცია და წავაგე.

— ოქროსთვის ბრძოლა ამასწინანდელ ევროპირველობაზეც რუსთან დაასრულე, ოღონდ არა გაცალოვთან, არამედ მის ნაკლებად ცნობილ შემცვლელთან, მურადოვთან...

— წინა ორ მარცხზე ბევრად მტკივნეული ჩემთვის სწორედ წლევანდელი გამოდგა. დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად მოვიგებდი და ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ მეტოქემ ისეთი ბინძური ჭიდაობა დაიწყო, ყველაფერი დამავიწყა. თვალებში თითებს მთხრიდა. ემოციებს ავყევი და სწორედ ეს იყო რუსების წინასწარი ჩანაფიქრი. ფსიქოლოგიურად მომშალეს და მაჯობეს.

— წლეულს შიდა კონკურენციაც საერთაშორისოზე არანაკლებ დაძაბულად დაიწყო. სანაკრებო ადგილისთვის ბრძოლაში ლუკა კურტანიძეს აჯობე...

— ამან, რა თქმა უნდა, გამახარა, მაგრამ შიდა კონკურენციაში დაწინაურება დიდი ვერაფერი წარმატებაა, თუ საერთაშორისო არენაზე მიზანს ვერ მიაღწევ. ზოგადად კი, ძლიერი კონკურენტის ყოლა ნებისმიერი სპორტსმენისთვის მომგებიანია.

— კურტანიძე კარიერას ასრულებს. ეს, თუნდაც ოდნავ, შენც ხომ არ მოგადუნებს?

— რას ამბობთ. არავითარ შემთხვევაში. ოდნავაც არ მომაკლებს მოტივაციას. თუმცა, როგორც ვიცი, თუ ლუკა თბილისის საერთაშორისო ტურნირს მოიგებს, მსოფლიოს ჩემპიონატზეც აპირებს გამოსვლას. ასე რომ, ჯერ ჩვენი კონკურენცია არ დასრულებულა.

— შენ როგორ ემზადები თბილისური ტურნირისთვის?

— ჩვეულებრივად, ძველებური ტემპით და პირობებით. გორის დარბაზში, ნორმალური სპარინგების გარეშე. აქამდე მპირდებოდნენ მაინც თბილისში ბინას, ახლა კი ესეც იშვიათიათად მესმის. არადა, წესით, პირობა დიდი ხნის შესრულებული უნდა იყოს. ისღა დამრჩენია, პერიოდულად მაინც ჩამოვიდე თბილისში სავარჯიშოდ და ისევ გორში დავბრუნდე.

— კისრის და ხერხემლის ქრონიკულმა ტრავმამ ბოლო წლებში დიდი ტურნირების წინ რამდენჯერმე შეგაწუხა, მაგრამ სერიოზულად ერთხელაც არ გიმკურნალია. სულ გამაყუჩებლებით ჭიდაობდი. ახლა როგორ გრძნობ თავს?

— ამჟამად არ მაწუხებს, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლება გამიხსენოს. იმედია, დიდი ტურნირებისთვის მომზადებას დამაცლის. ხანგრძლივი მკურნალობა მჭირდება და ახლა მაგის დრო ნამდვილად არაა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ისევ ნაკრებში

## კუპატაძე ათენის დავიწყებას პეკინში აპირებს

**სამთვენახევრიანი** გაურკვევლობა დასრულდა. საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს ევროპრიზიორი კონსტანტინე კუპატაძე ახლო მომავალში დაუბრუნდება და ოლიმპიურ სამზადისშიც ჩაერთვება. საბოლოო შეთანხმებას კუპატაძემ და საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა გუშინ მიაღწიეს.



„ნაკრებს, სავარაუდოდ, ივლისიდან შევუერთდები — გვაცნობა კოტემ — უახლოესი შეკრება ზღვის სანაპიროზე ამ დღეებში იწყება და მასზე წამსვლელი შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებულია. შემდეგი კი 1 ივლისიდან მინსკში იგეგმება და სწორედ ბელარუსში გავემგზავრები გუნდთან ერთად“.

წლების წინანდელი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ათენის ოლიმპიადაზე უმედლოდ დარჩენა გულში ხინჯად ჩარჩენია და უკვე პეკინზე ფიქრობს, თუმცა ჩინურ რინგზე ასვლამდე ჯერ შიდა კონკურენციაში უნდა იმარჯვოს, შემდეგ კი სალიცენზიო ბრძოლაში.

„ახალკაცს სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ პირადად ვესაუბრე და პირდაპირ მითხრა, შენი იმედი კიდევ გვაქვს და ნაკრების კარიც ისევ ღიაო. შანსი მომეცემა, დანარჩენი კი თავად ჩემზე იქნება დამოკიდებული. მართალია, რამდენიმე შეკრება და ტურნირი გამიცდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფორმაში არ ვარ. მთელი ეს პერიოდი ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ასე რომ, როცა ბიჭებს შევუერთდები, სამზადისში უპრობლემოდ ჩავერთვები. იმედია, ნაკრების შემადგენლობაშიც მალევე დავიბრუნებ ადგილს და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებასაც მოვახერხებ. მინდა, 2004 წლის გულისტკენა 2008 წლის სიხარულით ავანაზღაურო“ — დასძინა კუპატაძემ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# კოტომ ტიტული დაიცვა

**WBA-ს ვერსიით** ჩემპიონმა ნახევრად საშუალო წონაში მიგელ ანხელ კოტომ შეძლო ტიტულის დაცვა, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა რა ორ წონაში ექსჩემპიონი ზაბ ჯუდა.

ლეგენდარულ „მედისონ სქუერ გარდენში“, სადაც ადგილობრივი ჯუდას მხარდასაჭერად დარბაზი პირთამდე გაივსო, კოტომ მეთერთმეტე რაუნდში წააქცია ნიუიორკელი და ახლა სხვა ჩემპიონთან ქამრების გასაერთიანებლად შეეძლება ბრძოლა. პუერტორიკოელი წარმოშობის მუშტის მქნეველის მომავალი მეტოქე ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს, ანტონიო მარგარიტოსა და კერმიტ კინტრონს შორის აირჩევა. ამ სამიდან ყველაზე რეალური ვარიანტი მარგარიტოსთან ჯახია, რაც აუცილებლად შედგება, თუ ამ უკანასკნელმა 14 ივლისს აქამდე დაუმარცხებელი პოლ ვილიამსის წაქცევა შეძლო.



ახლა კი კვირას გამთენიისას შემდგარი ბრძოლის დეტალებს დავუბრუნდეთ. უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული უხეირო ტრადიციით, სკანდალის გარეშე არც ამ ჯახს ჩაუვლია. საქმე იმაშია, რომ კოტომ საწყის რაუნდებში ორჯერ წელსქვემოთ მოარტყა ჯუდას, რისთვისაც მსაჯმა პუერტო რიკოელს მხოლოდ ქულა ჩამოაკლო. ჰოდა, ჯუდაც ამბობს, რომ მისი მეტოქე სათანადოდ არ დასაჯეს და ამის გამო ახლა მატჩ-რევანშს ითხოვს.

არადა, ამ ინციდენტებს თუ არ ჩავთვლით, კოტომ აშკარად დაჩაგრა ნიუიორკელი — სადღაც მეხუთე რაუნდიდან ჯუდას ხეირიანად მუშტი არც მოუქნევია. ამის ლოგიკური დასასრული მე-11 რაუნდში დადგა, როცა კოტომ დაანოკდაუნა მეტოქე — ჯუდა ოთხ დათვლაზე კი წამოდგა, მაგრამ შემდეგ ჩემპიონმა ისე დაბომბა ერთ დროს გოროზი ზაბი, რომ მსაჯმა იგი უბრალოდ შეიცოდა და სანამ ჯუდა მართლაც ხორცის ფარშს დაემსგავსებოდა, კოტოს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

# შვილის შურისძიება

**გასულ უქმეებზე** ამ ჯახის გარდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბლომად ბრძოლები გაიმართა. ყველას მიმოხილვას ახლა აზრი არა აქვს და ამიტომ უფრო საინტერესოებზე შევჩერდებით.

კოტო-ჯუდას ბრძოლის წინ „მედისონ სქუერ გარდენში“ ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსმა იჩხუბა, რომელმაც სასტიკად გადაუარა გროვერ უილის. საინტერესო ისაა, რომ უილი 2005 წლის 17 სექტემბერს ჩავესის მამას შეხვდა და დაამარცხა, რის შემდეგაც უფროსი ჩავესი კრივს საბოლოოდ დაემშვიდობა. ჰოდა, შვილმა ახლა სასტიკად იძია შური მშობლის გალახვისთვის და უილის ბლომად სისხლიც ანთხევინა.

გამოვყოთ ნახევრად საშუალო წონაში ექსჩემპიონისა და ძალიან პოპულარული მოკრივის ანტონიო ტარვერის გამარჯვებაც. შარშან ბერნარდ ჰოპკინსთან წაგების შემდეგ რინგზე პირველად ასულმა ტარვერმა ჰარტფორდში მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ელვირ მურიკის მოუგო.

**ბახა ლომაშვილი**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**სეზონის** მეორე სლემტურნირის, „როლან გაროსის“ დასრულების შემდეგ პროფესიონალ კაც და ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციებმა მორიგი რეიტინგები გამოაქვეყნეს. ტოპ-ჩოგბურთელთა ნუსხა თქვენს წინაშეა და აქ კი ყურადღებას ჩვენებურებზე შევაჩერებთ.

კარგით დავიწყოთ — ქალთა ახალ კლასიფიკაციაში ერთით მეტი ქართველია. თინა ყავლაშვილმა, ვინც 2004 წელს მე-6 ასეულშიც კი იყო, ბოლო ხანებში წარმატებული თამაშით ისევ დაიბრუნა ადგილი რეიტინგში და 1084-ე პოზიცია დაიკავა.

მნიშვნელოვნად წინ წაიწიეს სოფო შაფათავამ, მანანა შაფაქიძემ და სოფო ქვაცაბაიამ. შაფათავა და ქვაცაბაია სულაც კარიერის უმაღლეს ადგილებზე არიან და იმედია, უფრო წინაც წავლენ.

სულ, ქალთა რეიტინგში 12 ქართველია, ხოლო კაცებში კვლავაც სამი ჩვენებურია და სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვება საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, რომელმაც კიდევ 14 პოზიცია დაკარგა და 216-ე ადგილამდე დაქვეითდა.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 216 (-14) | ირაკლი ლაბაძე | 180 |
| 477 (-1) | ლადო ჩიხლაძე | 58 |
| 13332 (+16) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 149 (+3) | მაკა ჩახნაშვილი | 215,0 |
| 369 (-44) | ანა ტატიშვილი | 55,75 |
| 535 (-3) | სალომე დევიძე | 27,75 |
| 628 (+27) | სოფო შაფათავა | 20,0 |
| 642 (+3) | სოფო მელიქიშვილი | 19,0 |
| 745 (+45) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 785 (-13) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 799 (-11) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 960 (+63) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1084 (-) | თინა ყავლაშვილი | 5,0 |
| 1288 (+13) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1319 (+7) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7515 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5225 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3040 |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3010 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 2930 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2780 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2200 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 9. ენდი მიური (ბრიტანეთი) | 2085 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2020 |
| 11. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1900 |
| 12. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1885 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1875 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1800 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1540 |
| 17. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1522 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1490 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1355 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1305 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 735 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 601 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 467 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 295 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 267 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 234 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 229 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 226 |
| 9. გილერმო კანასი (არგენტინა) | 223 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 219 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 213 |
| 13. ტომი ჰაასი (გერმანია) | 210 |
| 14-15. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 197 |
| 14-15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 197 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 159 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 158 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 154 |
| 19. ხუან მონაკო (არგენტინა) | 151 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 149 |

### საპრიზოები

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3277245 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 2660645 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1562705 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 903730 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 821720 |
| 6. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 671495 |
| 7. გილერმო კანასი (არგენტინა) | 660595 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 650130 |
| 9. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 608035 |
| 10. ენდი როდიკი (აშშ) | 597720 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 595590 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 577400 |
| 13. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 569572 |
| 14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 544955 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 531672 |
| 16. მაიკ ბრიანი (აშშ) | 509450 |
| 17. ბობ ბრიანი (აშშ) | 505625 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 504290 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 381690 |
| 20. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 378600 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4419 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3807 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3115 |
| 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2795 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2790 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2544 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2130 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2078 |
| 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1817 |
| 10. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1772 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1768 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1764 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1763 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1749 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1569 |
| 16. შაჰარ პიერი (ისრაელი) | 1432 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1388 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 1314 |
| 19. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1234 |
| 20. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1083 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2610 |
| 2. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 2520 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1946 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1911 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1891 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1545 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1265 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1223 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 1211 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1101 |
| 11. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1096 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1076 |
| 13. შაჰარ პიერი (ისრაელი) | 1062 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1023 |
| 15. ნა ლი (ჩინეთი) | 902 |
| 16. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 839 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 810 |
| 19. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 806 |
| 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 790 |

### საპრიზოები

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 2119957 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1625948 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1091352 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1046150 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 898786 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 858851 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 663252 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 539646 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 522142 |
| 10. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 495814 |
| 11. მარა სანტანჯელო (იტალია) | 477491 |
| 12. შაჰარ პიერი (ისრაელი) | 462031 |
| 13. სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 424062 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 420435 |
| 15. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 414159 |
| 16. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 404083 |
| 17. ლაიზელ ჰუბერი (სამხრეთ აფრიკა) | 357830 |
| 18. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 354312 |
| 19. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 351928 |
| 20. ნა ლი (ჩინეთი) | 347480 |



# მაკა გარეთ დარჩა

**საქართველოს** პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი ვერა და ვერ ახერხებს WTA-ტურის ეგიდით მიმდინარე ტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპის გავლას და ძირითად ბადეში მოხვედრას.

წლეულს მაკა რამდენჯერმე ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ სულ ცოტა აკლდებოდა. იგივე განმეორდა ბარსელონაშიც, სადაც ამ დღეებში 145-ათასიანი შეჯიბრი ტარდება.

კატალონიურ თიხნარზე ჩახნაშვილმა კვალიფიკაციის პირველ წრეში 6:4 6:0 კი მოუგო ბულგარელ ბილონა პავლოვას, მაგრამ მერე უშანსოდ — 2:6 2:6 დამარცხდა რუს ეკატერინა აფინოგენოვასთან და ბარსელონაში თამაში დაასრულა.

# ბალშში პიშტეტი არ გამოვიდა

**რუმინულ** თიხაზე გრძელდება ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი ტურნირების სერია. სხვებთან ერთად ამ სერიაში 18 წლის სალომე ჩაჩხუნაშვილიც მონაწილეობს, რომელმაც წინა კვირაში პიშტეშტის შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, ძირითად ბადეში გააღწია და იქ მეორე წრეში წააგო.

მორიგი ტურნირი ქალაქ ბალშშია და და სამწუხაროდ, ამ ჯერზე სალომე კვალიფიკაციის პირველივე წრეში 6:3 3:6 4:6 დამარცხდა კორტის მასპინძელ პაულა დინუტასთან.

# ორნი ამერიკაში




**რამდენიმე** კვირიანი პაუზის შემდეგ ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა — სალომე დევიძემა და სოფო მელიქიშვილმა კვლავ განაახლეს ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირებში მონაწილეობა.

ამ დღეებში ქალაქ ალენტოუნის ჰარდზე 25-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და ორივე ჩვენებური კვალიფიკაციიდან ეცდება ძირითად ბადეში მოხვედრას.

დევიძემ, ვინც კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრადაა განთესილი, საწყის შეხვედრაში 3:6 6:1 6:2 მოუგო ჰოლანდიელ ნიკოლ მონტეიროს და ახლა რეიტინგში 847-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ კიმბერლი კოუტსს შეხვდება.

უფრო იოლად — 6:4 6:3 იმარჯვა პირველ წრეში მელიქიშვილმა, რომელმაც შერინ-რენა ლეი დაამარცხა. მეორე მეტოქე სოფოსაც ამერიკელი ჰყავს — 16 წლისა და კლასიფიკაციაში 1206-ე ადგილზე მყოფი ასია მუჰამედი.

# მესამე ჩერკასკული

**უკრაინულ** ჩერკასკში მესამე კვირაა, კაცთა 10-ათასიანი ტურნირები ტარდება. წინა ორში სამი ჩვენებური იღებდა მონაწილეობას — ნოდარ ითონიშვილი, გიორგი ხრიკაძე და გიორგი ჭანტურია, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ძირითად ბადეში მოხვედრა.

ამ ჯერზე ქართულ ტრიოს ხრიკაძე გამოაკლდა და ჭანტურია კი კვალიფიკაციის პირველივე წრეში 4:6 5:7 დამარცხდა ყაზახ ანტონ ციმბალოვთან. რაც შეეხება ითონიშვილს, მან პირველ მეტოქეს, უკრაინელ კირილ სავოსკულს 6:3 6:2 მოუგო და მეორე წრეში კიდევ ერთ მასპინძელს, იგორ ნიკიტინს შეხვდება.

# საკუთარ სახლში, ოჯახთან ერთად

## ჟუსტინ ენინისთვის სტრესი დადებითი მოვლენაა: გადალახავ და უფრო ძლიერი გახდები

აქამდე 2007 წელი ჟუსტინ ენინისთვის პირად ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით უფრო იყო დასამახსოვრებელი, ვიდრე კორტზე მიღწეული წარმატებებით. მოგეხსენებათ, წლის დასაწყისში ბელგიელი ქმარს გაეყარა და ამის გამო ავსტრალიის ღია პირველობაც გამოტოვა. ჟუსტინი ქმარს იანვარში გასცილდა ორიოდ თვის წინ კი მის პირად ცხოვრებაში დადებითი მოვლენაც მოხდა — მშობლების ოჯახს შეურიგდა. არადა, აქამდე წლების განმავლობაში არ ჰქონდა ურთიერთობა მამასთან და დაძმებთან. თუმც მისთვის მძიმე პერიოდში ენინს ოჯახი ისევ ამოუდგა მხარში და ამით შეგულიანებულმა ბელგიელმა კიდევ ერთი, კარიერაში უკვე მეოთხე და ზედიზედ მესამე "როლან გაროსი" მოიგო, გამარჯვება კი ტრიბუნებზე მჯდომ დასა და ორ ძმას მიუძღვნა



— მაინც როგორ უნდა მოგმართოთ — „გრუნტის დედოფალი" თუ „გრუნტის ლედი"?

— ამაზე ნამდვილად ამ მიფიქრია. ისე, „გრუნტის დედოფალი" კარგად ჟღერს. თუმც ის, რასაც მივაღწიე, დიდებულია. პატარა რომ ვიყავი და პარიზში თამაშზე ვოცნებობდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ ოთხჯერ ვიჩემპიონებდი, აქედან სამჯერ ზედიზედ, ორი წელი კი სულაც სეტწაუგებლად. არა, თავი ზღაპარში მგონია. ეს გამარჯვება ჩემთვის მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ემოცია ჩავაქსოვე მას.

— რადგან ამ ტრიუმფს თქვენი ოჯახიც დაესწრო, ზღაპრის ზღაპრული დასასრული გამოგივიდათ. ამან ეს ტრიუმფი განსაკუთრებული გახადა?

— რა თქმა უნდა. ფინალი იოლი კი გამოვიდა, მიხედავად იმისა, რომ თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ეს გამარჯვება ჩემთვის მაინც ყველაზე ძვირფასია, რადგანაც არასოდეს დამავიწყდება ის ატმოსფერო, რაც ჩემს გარშემო თამაშამდე და მის შემდგომ იყო. ბოლო თვეებში დიდი ნაბიჯი გადავდგი პირად ცხოვრებაში — რა თქმა ინდა, ოჯახთან შერიგებას ვგულისხმობ. ჩვენს შორის არსებული უთანხმოებით ხომ ყველა დავზარალდით. ამიტომაც ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა, მათთვის ეს გამარჯვება მიმეძღვნა. საოცარი შეგრძნება იყო, როცა ჩემი სიხარული მათ გავუზიარე.

— ვინ გქომაგობდათ ტრიბუნებიდან?

— და და ორი ძმა. მამა ტელევიზორით ადევნებდა თვალს ფინალს და შემდეგ მომილოცა კიდეც. ეს მართლაც დაუვიწყარი იყო.

— საერთოდ, თქვენ არ გიყვართ პირად ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარი. რამდენად ძნელი იყო 20 000 მაყურებლის წინ ემოციების გამოხატვა, როცა თქვით, რომ ამ გამარჯვებას მათ უძღვნიდით? ასე წინასწარ გადაწყვიტეთ?

— სულაც არა. უბრალოდ, მაშინ ვგრძნობდი, რომ უნდა მეთქვა. ეს გულიდან წამოსული სიტყვები იყო და არც ერთ ჩვენგანს დიდხანს არ დაავიწყდება. რაც მოხდა, წარსულს ჩავაბარეთ. მთავარია, რომ ისინი ისევ არიან ჩემს ცხოვრებაში.

— სხვა სლემტურნირების ფინალებშიც არაერთხელ ყოფილხართ — ზოგან იმარჯვეთ, ზოგანაც დამარცხდით. მაგრამ აქ უნაკლო ხართ, უკანასკნელი ორი წელი კი სეტიც არ წაგიგიათ...

— არც კი ვიცი, ეს როგორ ავხსნა. ერთი ეგაა, რომ აქ ისე ვგრძნობ თავს, როგორც სახლში. კორტზე ყოველთვის იმ სურვილით გავდივარ, რომ ბოლომდე დავიხარჯო და თუ იოლად მოვიგე, ამას რა აჯობებს. მაგრამ წლეულს სათამაშო ბადით უკმაყოფილო ვიყავი — იოლი მეტოქე თითქმის არ მყოლია. განსაკუთრებით სერენასთან უილიამსთან სავარაუდო მეოთხედფინალი მანერვიულებდა. თუმც ყოველდღიურად ვუმატებდი და თანდათანობით ყველაფერი გაადვილდა.

— მატჩის განმავლობაში რამდენიმე კონვერტი გახსენით. ეს რაღას ნიშნავდა?

— ეს კარლოსის იდეა იყო (საუბარი ენინის მწვრთნელ კარლოს როდრიგესზეა). მან რამდენიმე ინსტრუქცია დაწერა და მთხოვა, კონკრეტულ მომენტებში გამომეყენებინა. თუმც ნუ მკითხავთ, იქ რა ეწერა — ეს უკვე პირადულია.

— აქ მეოთხედ მოიგეთ. არ დაიღალეთ?

— სხვისი არ ვიცი და მე ვერ წარმომიდგენია გამარჯვებებისგან დაღლა. მომავალში რა იქნება, არავინ იცის, იმას კი შეგპირდებით, რომ აქ ყოველთვის მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებ.



— თამაში ადვილად წაგივიდათ, თქვენი მეტოქე კი აშკარად ღელავდა. ერთხელ მაინც არ გაგიელვათ აზრმა, რომ იგი მატჩის შემოტრიალებას შეძლებდა?

— არა. თავიდანვე საბრძოლველად გამოვედი და ბოლო გათამაშებამდე კონცენტრაცია არ დამიკარგავს, ყველა ბურთისთვის ვიბრძოდი. ყველანაირად ვცდილობდი, მისთვის მატჩის შეტრიალების მინიმალური შანსიც არ მომეცა.

— თქვენ კარლოსი ახსენეთ — უკვე ძალიან დიდი ხანია, ერთად ხართ. ეს კი ჩოგბურთში დიდი იშვიათობაა...

— ამაში სავსებით მართალი ბრძანდებით. უკვე 11 წლია, რაც კარლოსი მწვრთნის. საჩგბურთო სამყაროსთვის ეს მართლაც უნიკალური მოვლენაა. ამდენ ხანს ერთად ყოფნა ბევრს არ შეუძლია — ეს დიდ ურთიერთპატივისცემას ნიშნავს.

ამასთანავე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კარლოსის ოჯახსაც, რომელიც ყოველთვის მხარში მედგა.

— კაცთა ფინალის ყურებას აპირებთ? (ინტერვიუ ნადალ — ფედერერის ფინალურ მატჩამდეა აღებული) და თუ საიდუმლო არაა, ვის უგულშემატკივრებთ?

— ძალიან მინდა აქ დარჩენა — ამ სანახაობის ცქერა ნამდვილად ღირს. ისე კი ფედერერის მხარეს ვარ. თუმც ვნახოთ. ორივე დიდი ჩოგბურთელი, ნამდვილი ჩემპიონია. კი მინდა, როჯერმა მოიგოს, მაგრამ რაც ნადალი ვნახე... ის გრუნტზე ფანტასტიკურია.

— არ გეშინოდათ, რომ ემოციები ხელს შეგიშლიდათ წარმატებაში?

— ნაწილობრივ. წინა ღამით არცთუ კარგად მეძინა და მატჩის წინაც მაგრად ვღელავდი, რაც თავიდან კარგად გამოჩნდა. მაგრამ პანიკაში არ ჩავვარდნილვარ და ნელნელა სიტუაცია გამოვასწორე. შეიძლება ითქვას, რომ ემოციები უკანა პლანზე გადავწიე.

— თქვენგან განსხვავებით, ივანოვიჩისთვის ასეთ დონეზე ეს პირველი ფინალი იყო. როგორ ფიქრობთ, გამოცდილებამ თქვენს სასარგებლოდ ითამაშა?

— უეჭველად. ამ მატჩის წინ ისევე ვღელავდი, როგორც ჩემი პირველი სასლემო ფინალისას. მაგარი დაძაბული ვიყავი და სტრესიც მქონდა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საჭიროც არის, რადგანაც კონცენტრაციაში გეხმარება. ეს არაერთხელ გამომიცდია და უკვე მიჩვეულიც ვარ და ვიცი, როგორ გავუმკლავდე — ასე რომ, გამოცდილება საკმაო დიდი ფაქტორი იყო.

— ტურნირი სეტწაუგებლად კი მოიგეთ, მაგრამ როდისმე მაინც ეჭვი შეგეპარათ საკუთარ შესაძლებლობებში?

— პირველი კვირა ძალიან რთული იყო. არცთუ კარგ ფორმაში ვიყავი. სიბილ ბამერის დამარცხების შემდეგ (მესამე წრეში) ვიგრძენი თავი თავისუფლად. საუკეთესო თამაში მხოლოდ მეორე კვირაში ვაჩვენე.

— კონვერტების გამოყენებას მუდმივად დაიწყებთ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

— მომავალ წელს მამასაც ხომ არ დაპატიჟებთ ტურნირზე?

— ვნახოთ. როგორც გითხარით, ის ამ თამაშს ტელევიზიით ადევნებდა თვალს და მომილოცა კიდეც — ის ძალიან ბედნიერია და ამაყობს თავის ქალიშვილით. თუმც ორივეს გარკვეული დრო გვჭირდება, რათა ერთმანეთთან თავისუფლად ვიგრძნოთ თავი. ის კი ვიცი, რომ ერთ დღეს ის ჩემს გვერდით იქნება და ტრიბუნებიდანაც მიგულშემატკივრებს.

— აღნიშნეთ, სტრესი მქონდაო, რაც შიშს ნიშნავს. მაინც რისი გეშინოდათ?

— ალბათ საკუთარი თავის. თუმც სტრესი მაინც პოზიტივია. ის ენერგიას მაძლევს და მობილიზებაში მეხმარება. ადრე შეიძლება სტრესი უარყოფითად მოქმედებდა ჩემზე, თუმც ახლა აშკარად პოზიტიური შედეგი აქვს ხოლმე. ვფიქრობ, ყველა დიდი სპორტსმენი ასეა — რაღაც დოზით შიში ყოველთვის საჭიროა, ის ხომ მოდუნების საშუალებას გისპობს.

# უთხრეს და გააკეთა
## დოფინი ლიბერე ვიგინსმა გახსნა



AFP

კვირას გრენობლში 4200 მეტრიანი პროლოგით სტარტი აიღო მეტად პოპულარულმა შეიდეტაპა „კრიტერიუმ დოფინი ლიბერემ“, რომელიც ტრადიციულად ითვლება სეზონის უმთავრესი რბოლის „ტურ დე ფრანსის“ გენერალურ რეპეტიციად.

როგორც წესი, „დოფინი ლიბერეს“ სამთო ეტაპები, მთლიანად თუ არ ემთხვევა, დიდწილად იმეორებს, უფრო სწორად კი წინ უსწრებს „ტურის“ ალპურ ეტაპებს და ხშირად მომხდარა, რომ დიდი მარყუჟი“ სწორედ „დოფინი ლიბერეს“ მომგებს მოუგია.

ალპური კრიტერიუმის წლევანდელი მარშრუტი მეტად დამაინტრიგებელია: ოთხკილომეტრიანი პროლოგის შემდეგ უგრძესი, ოლონდაც დაბლობზე გამავალი 219-კილომეტრიანი ეტაპი და მერე კი სულ მთები. განსაკუთრებით მე-4 ეტაპი უნდა გამოვყოთ, რომლის ფინიშიც ლეგენდარულ ვანტუს მთაზეა.

ვანტუმდე ჯერ შორია და კვირის პროლოგი კი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ტრეკზე რბოლაში, ბრიტანელმა ბრედლი ვიგინსმა მოიგო, რომელმაც 4,2 კილომეტრი 4 წუთსა და 50,42 წამში დაფარა.

„დღეს მე ვაჩვენე ის, რაც შემიძლია. მეუბნებოდნენ, რომ პროლოგის მოგება შემეძლო და მართლა შევძელი. ეს ჩემი პირველი წარმატებაა გზატკეცილზე და ბედნიერი ვარ, რომ საკუთარი თავი სრულად წარმოვაჩინე“ — ვიგინსი რბოლის შემდეგ სიხარულს ვერ მალავდა და ეს გასაგებიცაა — მან უკან ველორბოლის ისეთი დიდოსტატები მოიტოვა, როგორებიც ლევი ლეიფჰემერი, ანდრეი კაშეჩკინი, ჯორჯ ჰინკეიპი, ალეხანდრო ვალვერდე, დევიდ ზაბრისკი, ტომ ბოონენი და სხვები არიან.

ერთი კია — მოწინავეთა შორის სხვაობა მინიმალური იყო და ვიგინსის ლიდერობას ბოლო, უკვე პირველი ეტაპის შემდეგ მოელებოდა, მერე კი, მთებში, უკვე სულ სხვები გამოვლენ წინა პლანზე.

ამ სხვებში ლეიფჰემერი, ჰინკეიპი, კაშეჩკინი და ვალვერდეც არიან. „დოფინი ლიბერეს“ შარშანდელმა გამარჯვებულმა ლეიფჰემერმა ბრიტანელთან მხოლოდ ერთი წამი წააგო, კაშეჩკინმა და ჰინკეიპმა — ორ-ორი, ხოლო ვალვერდემ — სამი. მთავარი ბრძოლები კი წინაა.

## პანტანის ხსოვნა პელიცოტიმაც უკვდავყო




იტალიის პატარა ქალაქ ჩეზენატიკოში მეოთხედ ჩატარდა ლეგენდარული მრბოლის, 1998 წელს „ჯირო დიტალიასა“ და „ტურ დე ფრანსის“ წყვილად მომგები მარკო პანტანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რბოლა.

„პანტანის მემორიალი“ წლევანდელი „ჯიროს“ ერთ-ერთმა გამორჩეულმა ველოსიპედისტმა, იტალიური სუპერრბოლის გამარჯვებულის, დანილო დი ლუკას უპირველესმა თანაშემწემ ფრანკო პელიცოტიმ მოიგო. „ლიქუიგასის“ მრბოლმა უკან სხვა იტალიელები — „პანარიას“ მაცანტი და „მიჩეს“ მუგო ჩამოიტოვა.

## ხორვატული შვარცვალდი

ევროტურის ველოგუნდის, „პერუტნინას“ ხორვატი მრბოლების — რადოსლავ როგინასა და მატიჯა კვასინას ტრიუმფით დასრულდა გერმანიაში გამართული ერთდღიანი „შვარცვალდის დიდი პრიზი“.

139-კილომეტრიანი რბოლა წლეულს მეხუთედ ჩატარდა და ხორვატულმა დუეტმა უახლოესი მდევარი, სლოვაკი პეტერ ველიტცი თითქმის ორი წუთით ჩამოიტოვა უკან. უშუალოდ შიდახორვატულ დუელში კი როგინამ იმარჯვა, რომელმაც ფინიშზე სულ მცირედით მიასწრო თანამემამულეს.

## ერთი წამის რასტი

ყაზახური „ასტანას“ შვეიცარიელი მრბოლის გრეგორ რასტის გამარჯვებით დასრულდა ოთხეტაპა „ლუქსემბურგის ტური“.

ბოლო, 149-კილომეტრიან ეტაპამდე რბოლას „ბუუ ტელეკომის“ ცნობილი ფრანგი მრბოლი ლორან ბროშარი ლიდერობდა, თუმცა რასტი მას მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩებოდა. ეს ჩამორჩენა შვეიცარიელმა დასკვნით ეტაპზე ამოიღო და მეტიც — რასტმა ეტაპი მოიგო და ამ გამარჯვებით მთელი „ლუქსემბურგის ტურიც“ მას დარჩა.

## ვინ მოხვდება მაკუეიდის სიაში?

19 ივნისს ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (UCI) ირლანდიელი პრეზიდენტი პატრიკ მაკუეიდი „პრო-ტურის“ ოცივე გუნდის ბოსებს შეხვდება. შეხვედრაზე განიხილავენ სკანდალურად ცნობილი ესპანელი ექიმის ეუფემიანო ფუენტესის ყბადაღებული სადოპინგო საქმის ირგვლივ არსებულ მასალებს. ამ განხილვის შემდეგ, არ არის გამორიცხული, შარშანდელის დარად წლეულსაც შედგეს იმ მრბოლთა საკმაოდ გრძელი სია, რომლებიც ფუენტესის საქმესთან კავშირის „წყალობით“ სეზონის უმთავრეს რბოლას, „ტურ დე ფრანსს“ გამოტოვებენ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



AFP

# ჰემილტონის მეცხრე ცა და კუბიცა

ექვსი ავარია, შავი დროშები, უსაფრთხოების მანქანის ტრასაზე ოთხჯერ გასვლა, რობერტ კუბიცას სულისშემძვრელი კატასტროფა, ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი შავკანიანი მრბოლის, დებიუტანტ ლუის ჰემილტონის პირველი პოულ-პოზიცია და პირველი დიდი პრიზი — ამდენი მოვლენა-ემოციით გადატვირთული ეტაპი წლეულს კი არა, რა ხანია, არ ყოფილა.

კვირას მონრეალში, ლეგენდარული კანადელი მეფორმულის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე გამარჯვებით 22 წლის ინგლისელმა თავის სადებიუტო სეზონში მორიგი საგინესო მიღწევა დაამყარა. მართლაც დაუჯერებელი შედეგიანობაა — საწყის ხუთ რბოლაში პოდიუმი და მერე პირველი ადგილი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს უნიკალური რეკორდი გაუმჯობესდეს.

რაც უმთავრესია, ლუის-კარლმა მთელი რბოლა ახალბედასთვის გასაკვირი დამაჯერებლობით წარმართა, თავისი ჩემპიონი თანამაკლარენელის — ფერნანდო ალონსოს ჩვეულ, უშეცდომო სტილში და პირველი პოზიციიდან დაწყებულ რბოლაში ბოლომდე არავის დაუტოვა შებრძოლების შანსი. თუმც ავარიების გამო სეიფთიკარის ოთხჯერ გამოჩენის შედეგად ბრიტანელს ოთხჯერვე ხელახლა მოუხდა მინიმუმამდე შემცირებული სოლიდური უპირატესობის აღსადგენად ბრძოლა.

ცხადია, კანადის ახალი ტრიუმფატორი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო: „კიდევ ერთი ფანტასტიკური დღე! ზედიზედ მეექვსე პოდიუმი და ამჯერად გამარჯვება, რომელსაც მამაჩემს ვუძღვნი. მადლობა გუნდს, მადლობა ყველას, ვინც ბაზაზე მანქანასთან მუშაობდა, მადლობა ჩემს ოჯახს, გულშემატკივრებს. იმედია, ერთი კვირის შემდეგ ინდიანაპოლისში უკეთესად გამოვალთ“.

მეტი უკეთესობა რაღა უნდა იყოს. ბუნებრივია, ჰემილტონი იმას გულისხმობს, რომ მისი ორგზის გვირგვინოსანი თანაგუნდელი ალონსო „ჟილ ვილნევზე“ მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. უჩვეულოა, რომ როგორც წესი, უშეცდომოდ მოჯირითე „ასტურიელი პრინცი“ ამჯერად სამჯერ გადასცდა ტრასას და ბლომად პოზიციებიც დათმო. მსგავსი უხეირო ფინიში ნანდოს ორი წელია, არ ჰქონია.

შედეგად, ჰემილტონმა ალონსო უკვე რვა ქულით ჩამოიტოვა და ჩემპიონატის ბოლოს იქნებ ტიტულიც ჩამოართვას.

ლუისის კბილა კუბიცამ რბოლა მერვე პოზიციიდან დაიწყო და სამასკილომეტრიანი დისტანციის მესამედზე ამ ჩასათვლელ ადგილს ინარჩუნებდა, მაგრამ მერე საშინელება შეემთხვა. უზარმაზარ სისწრაფეზე იარნო ტრულის „ტოიოტას“ გვერდის ავლისას პოლონელის BMW მას ოდნავ შეეხო, მართვადაკარგული ტრასიდან ტყვიასავით გავარდა, ბორდიურზე შეხტა და საშინელი ძალით მიაფრინდა ბეტონის დამცავ ჯებირს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაშლილ-დალეწილი ბოლიდი ამოტრიალდა და ტრასის მეორე მხარეს გამოტყორცნილი რკინის რელსებს მიეხეთქა. მძღოლი გაუნძრევლად იწვა. სამედიცინო ბრიგადამ კოკპიტიდან მისი ამოყვანა დიდი წვალებით მოახერხა და მაშინვე ჯერ ავტოდრომის კლინიკაში, მერე კი მონრეალის ჰოსპიტალში გააქანეს.

თავიდან ვარაუდობდნენ, რობერტმა ფეხი მოიტეხაო, მაგრამ გამოკვლევით გაირკვა, რომ კოჭი დაუშავებია და ტვინის შერყევაც ჰქონია.

კუბიცა გუშინ კლინიკიდან გაწერეს და მკურნალობის კურსს შინ გაივლის. იგი მართლაც რომ ბედნიერ ვარსკვლავზე, უფრო სწორად კი ბედნიერ დროს ყოფილა დაბადებული. მსგავსი ფათერაკი მეფორმულეს 15-20 წლით ადრე რომ შემთხვეოდა, უეჭველად დაიღუპებოდა.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბუგლარიძე, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge